2012 წელი, 18 – 24 ოქტომბერი

ფასი 1 ლარი 30 თეთრი

ახალი განათლება

№30 (584) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

გიორგი მარგველაშვილი
განათლებისა და მეცნიერების მინისტრობის კანდიდატი

ერთი სიტყვით იმის თქმა, თუ რა უნდა გაკეთდეს, რთულია. ერთი სიტყვით შეიძლება ითქვას, რა უნდა გამოსწორდეს – პოლიტიკური კონტექსტი განათლების სისტემიდან ამოღებული უნდა იყოს. როდესაც ერთდროულად მიზნად გაქვს დასახული ბოლონიის პროცესთან მიერთება, ინტეგრაცია ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან, ან სკოლებისთვის მეტი ავტონომიურობის მინიჭება, ან უსაფრთხო გარემოს შექმნა... მეორე მხრივ კი გიჩნდება ბევრად უფრო პრიორიტეტული და დღეს შენ წინაშე არსებული პრობლემა – შენი პოლიტიკური ბერკეტი იყოს განათლების სისტემაში და პოლიტიკური იარაღი გახდეს ამხელა სისტემა, ბუნებრივია, ეს ერთდროულად არ გამოდის, ეს ბერკეტი გძაჩავს და დასახული მიზნებიც მრუდდება. იმ ძირითად მიმართულებას – ინტეგრაცია ევროპულ ღირებულებებთან და საგანმანათლებლო სივრცესთან – რაც ქართულ საგანმანათლებლო სისტემას ჰქონდა, ბოლომდე ვიზიარებ.

შეფასებისა და გამოცდების ცენტრი გავხდებით და ისევ ძველ სახელს დავიბრუნებთ.

გამოცდების ცენტრს დამოუკიდებლობის მეტი ხარისხი ექნება, რაც განათლების სისტემაზე დადებითად აისახება. სამომავლოდ, ცენტრი მხოლოდ პრემიერს დაექვემდებარება. სამწუხაროდ, აქამდე ეს ორგანიზაცია მხოლოდ გამოცდებთან იყო იდენტიფიცირებული, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა კი – იგნორირებული. კვლევის შედეგები არასახარბიელო იყო და განათლების მინისტრს მისი განსაჯარეობა არ სურდა. ამიტომ ეს ანალიტიკური დოკუმენტაცია, რომელიც განათლების სისტემაში არსებულ პრობლემებს აღწერს, აქამდე თაროზე გვქონდა შემოდებული. ბოლოს კი, მინისტრმა გამოცდების ცენტრს მსგავს კვლევებში მონაწილეობის მიღება აუკრძალა. იმ გუნდს კი, რომელთან ერთად მე ცენტრის დატოვებამდე ვმუშაობდი, სწორედ განათლების სისტემაში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით შეუძლია დიაგნოზის დასმა და მე მუშაობას კვლავ მათთან ერთად გავაგრძელებ. ასე რომ, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა გაგრძელდება.

მაია მიმინოშვილი გამოცდების ეროვნულ ცენტრში იმ 60 ადამიანთან ერთად დაბრუნდება, რომლებმაც სამსახური მისი წამოსვლის გამო დატოვეს



გია დვალი განათლებისა და მეცნიერების რეფორმების სახელმწიფო კომისიას უხელმძღვანელებს

განათლების სისტემა დემოკრატიული სახელმწიფოს სტანდარტებთან შესაბამისობაში უნდა იყოს მოყვანილი, ამოსავალი კონცეფცია – აკადემიური თავისუფლება. ეს კონცეფცია დღეს საქართველოში, ფაქტობრივად, არ არსებობს. ეს არის ის ქვაკუთხედი, რაზეც უნდა დაშენდეს შემდეგ განათლების რეფორმა. ეს არის გარანტია იმისა, რომ პროფესურას, რომელიც უნივერსიტეტის ხერხემალი და ბაზაა, რაზეც უნივერსიტეტი დგას, ექნება ყველა პირობა მოამზადოს თავისუფლად მოაზროვნე შემოქმედი ადამიანი.

აქტუალური თემა

განათლებისა და მეცნიერების ახალი მინისტრი – რას ელიან დირექტორები

გვერდი 2–5

გამოკითხვა

მთიანი რეგიონის პრობლემები

გვერდი 5

სოფლის სკოლა

ისტორიული სოფლების სასკოლო ქრონიკები

გვერდი 6–7

კულტურული მემკვიდრეობა

გაიგე მეტი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ

გვერდი 7

იურისტის კონსულტაცია

პედაგოგთა შეკითხვებს პასუხობს სპმთპ-ს იურისტი თამარ ავალიანი

გვერდი 8

მეთოდიკა

ფიზიკის პედაგოგთა დასახმარებლად

გვერდი 9

აქტუალური თემა

განათლებისა და მეცნიერების ახალი მინისტრი – რას ელიან დირექტორები

ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური პროცესები, ბუნებრივია, ყველა სფეროზე აისახება. საზოგადოება ახალი მთავრობის მოლოდინშია, რასაკვირველია, ჩვენ განათლების სფეროს შევეხებით. მინისტრის კანდიდატურა უკვე დასახელდა. მკითხველისთვის, ალბათ, საინტერესო იქნება, რა მოლოდინი აქვთ განათლების სფეროს მუშაკებს.

რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, როგორი ურთიერთობა უნდა იყოს განათლების სამინისტროსა და საჯარო და კერძო სკოლებს შორის – როგორი უნდა იყოს სკოლების დამოუკიდებლობის ხარისხი, რა ცვლილებებია სასურველი და რისი შენარჩუნება მიაჩნიათ გამართლებულად უკვე გატარებული რეფორმიდან – ამ კითხვებით მივმართეთ სკოლის დირექტორებს. გთავაზობთ მათ მოსაზრებებს:

მარიამ რამინაშვილი
თბილისის №53 საჯარო სკოლა

მეტი თავისუფლება და დამოუკიდებლობა უფრო წაადგებოდა სკოლას. ბევრი პრობლემა თვითონ სკოლაში უფრო ადვილად მოსაგვარებელია, ვიდრე სამინისტროს მხრიდან, თუნდაც რომელიმე კანონის საფუძველზე.

* * *

პირველ რიგში, ვიტყოდი, რომ განათლების სისტემა არ არის მხოლოდ სკოლა, ამიტომ პირი, რომელიც შეიძლება მოიაზრებოდეს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პოსტზე, თანაბრად უნდა ფლობდეს ორივე მმართველობის სისტემას – როგორც სასკოლო, ასევე უმაღლეს სამეცნიერო პროგრამებს, რაც არა ნაკლებ რთული და არა ნაკლებ მისახედია, ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

მიმაჩნია, რომ მინისტრი განათლების პროცესს სისტემურად უნდა ხედავდეს, ამიტომ უნდა იყოს კარგი მენეჯერი. ეს იმდენად დიდი სისტემაა, რომ სჭირდება სწორედ ამგვარი ხედვა, აღქმა და გაანალიზება. ბევრი რამ არის გასაკეთებელი საკანონმდებლო ბაზის შესაქმნელად, ამიტომ წინასწარ უნდა ჰქონდეს მოფიქრებული გარკვეული პროექტი, რომელიც დააკავშირებს ამ ორ სისტემას და თანაბრად განავითარებს. საგანმანათლებლო პროცესში არ უნდა იყოს წყვეტა. ზოგადსაგანმანათლებლო სისტემა ისე უნდა იყოს აგებული, რომ პირდაპირ ებმოდეს უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემას. ამ წუთში ეს პრობლემა დგას, ანუ ამ ორ სისტემას შორის პატარა წყვეტა შეინიშნება და გადასვლა კონკრეტული პრობლემების გარეშე, უმტკივნეულოდ არ ხდება. ეს საზოგადოების დაკვეთაცაა. ვისაც საშუალო საფეხურზე სკოლაში უმუშავია მასწავლებლად, მით უმეტეს დირექტორად, იცის, რომ ყოველთვის ძირითად პრობლემას ვაწყდებით სწორედ ამ დროს, როდესაც მოსწავლისა და მშობლის მიზნები შორსმიმავალია, სკოლის ინტერესები კი – აბსოლუტურად სხვა სტანდარტებს მორგებული. აი, ეს კონფლიქტი – საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა ჩართულობის მოუწესრიგებლობის, ალბათ, აქედან მოდის. ამიტომ ვერ აეწყო და ვერ მოხერხდა მოსწავლეთა სრული ჩართულობა საშუალო საფეხურზე. მიმაჩნია, რომ განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ორივე სეგმენტში როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ასევე უმაღლესი, წარმატებით უნდა ფლობდეს ყველა იმ მექანიზმს, რაც ამ ორი სფეროს დასაახლოებლადაა საჭირო, ასევე უნდა იცნობდეს საკანონმდებლო ბაზას, საერთაშორისო გამოცდილებას და ამ გამოცდილების სწორი ინტეგრაციისთვის უნდა იყოს მზად. ჩვენ ვნახეთ უკვე რამდენიმე პროგრამა თუ პროექტი, პირდაპირ „ამოჭრილი“ რომელიღაც წარმატებული საერთაშორისო საგანმანათლებლო სფეროდან, როგორი კრახით დამთავრდა ქართული რეალობისთვის.

სასურველია, ამ ყველაფერთან ერთად, განათლების მინისტრს ჰქონდეს საგანმანათლებლო სფეროში მუშაობის გამოცდილება.

* * *

პირველ რიგში, უნდა დაიწყოს დეცენტრალიზაციის ხელშეწყობა, რაც დღეს ნამდვილად პრობლემას წარმოადგენს. ვერც ერთ შემთხვევაში ვერც ერთი მინისტრი ვერ მოიფიქრებს იმ საერთო კრიტერიუმს, რომელიც შეიძლება საქართველოს ყველა სკოლაზე იყოს მორგებული და ყველასთვის შედეგიანი აღმოჩნდეს. დეცენტრალიზაცია გულისხმობს სწორედ იმ მომენტს, რომ თითოეულმა სკოლამ თავისი პრობლემა, რომელიც მხოლოდ მისია და მხოლოდ სპეციფიკური გადაჭრის გზას ითხოვს, მშვიდად, შინაგანაწესით ან შიდა ნორმატიული აქტით, რა თქმა უნდა, საკანონმდებლო ბაზაზე დაყრდნობით, გადაწყვიტოს.

მნიშვნელოვანია, ასევე, ღიაობის პრინციპის აქტუალიზაცია, ანუ თანამშრომლობა სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფ სტრუქტურებს შორის უნდა იყოს ძალიან ღია, უშუალო, განსაკუთრებით პრობლემების დაყენებისა და გადაწყვეტის პროცესში. დაქვემდებარებულ სტრუქტურებს უნდა ჰკითხონ აზრი ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების დროს. ხშირად გვქონდა შემთხვევა, როცა თითქოს ძალიან წარმატებულმა ფორმულამ ვერ იმუშავა, მაგალითად, ვაუჩერული დაფინანსების მოქმედი მოდელი.

გარკვეული გადაწყვეტილების მიღების დროს ბევრი რამ მშობლებსაც უნდა ვკითხოთ. პირადი გამოცდილებიდან შემიძლია გითხრათ, როცა მშობლისგან მოდის ინიციატივა, ის გაცილებით მარტივად იწყებს ფუნქციონირებას, ვიდრე დირექტივად მიწოდებული. კარგი იქნება ჩატარდეს ღია გამოკითხვები, კვლევები, შეიძლება ამის საკანონმდებლო ბაზაში მოქცევა ისე, რომ მშობლისთვის მისაღები იქნება, როგორც მისი ინიციატივა და არა თავსმოხვეული ვალდებულება. მშობლების მიერ უარყოფილ ნებისმიერ ინიციატივაზე, წინასწარ რომ გამოგვეკითხა მათი აზრი, შეიძლება არც მოჰყოლოდა უარყოფითი რეაქცია.

ჩემი აზრით, მეტი თავისუფლება და დამოუკიდებლობა უფრო წაადგებოდა სკოლას. ბევრი პრობლემა თვითონ სკოლაში უფრო ადვილად მოსაგვარებელია, ვიდრე სამინისტროს მხრიდან, თუნდაც რომელიმე კანონის საფუძველზე.

* * *

სკოლების ვაუჩერული დაფინანსება უნდა დარჩეს, იმიტომ რომ გარკვეულ მოტივაციას ქმნის, მაგრამ უნდა შეიცვალოს გათვლის ფორმულა. მეტი მოტივაცია უნდა ჰქონდეს სკოლას მოსწავლის მისაღებად, რადგან ზუსტად ეცოდინება, რაც მეტ მოსწავლეს მოემსახურება, ამის საპირწონედ დიდ დაფინანსებას მიიღებს.

ამავდროულად, ნებისმიერი პროექტი, რეფორმის ფარგლებში მიმდინარე ნებისმიერი სიახლე კვლევის საფუძველზე უნდა განხორციელდეს. კონკრეტული კვლევის შედეგად შეიძლება სულ სხვა შედეგი მივიღოთ, ვიდრე მანამდე იყო.

საატესტატო გამოცდები ნამდვილად წარმატებული პროექტი იყო და უნდა გაგრძელდეს. სასურველია, საბაზო საფეხურზეც გადმოვიდეს. რადგან საბაზო საფეხურს სავალდებულოდ მივიჩნევთ, იქ აუცილებლად უნდა დაიდოს გარკვეული ბარიერი, რომელსაც მხოლოდ კონკრეტული მოსწავლეები გადალახავენ. შემდგომში, ეს ბევრ პრობლემას მოხსნის, თუნდაც საშუალო საფეხურის ჩართულობის პრობლემას, რადგან ამ საფეხურზე ისეთი მოსწავლეები მოხვდებიან, ვისაც გააზრებული ექნება სამომავალოდ სამეცნიერო მოღვაწეობის სფერო.

რაც შეიძლება მრავალფეროვანი უნდა იყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ სახელობო სპეციალობებით. შეიძლება სათანადო საკანონმდებლო ბაზის ან რაიმე დოკუმენტის შექმნა, რომელიც დააბალანსებს საშუალო საფეხურის განათლებისა და უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიან სისტემაში მოქცევას. სახელობო პროგრამები ბევრისთვის უინტერესო და მიუღებელია, უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით უფრო მეტი მოსწავლეა დაინტერესებული. დარწმუნებული ვარ, ამ შემთხვევაში, ბევრი მოსწავლე აღარ გააგრძელებს სწავლას საბაზო საფეხურის შემდეგ სკოლაში და აირჩევს პროფესიულ განათლებას.

თუ მანდატურის სამსახური სკოლას დაექვემდებარება, მისი უფრო ნაყოფიერად გამოყენება შეიძლება და პრაქტიკული შედეგიც უფრო მასშტაბური იქნება.

კარგი იქნება, ყველა ცვლილება, რომელიც განათლების სისტემაში დაიგეგმება, ეტაპობრივად განხორციელდეს, არსებულთან პარალელურ რეჟიმში და არა მყისიერად, რაც მთავარია, ამ სფეროში დასაქმებული ადამიანებისთვის უმტკივნეულოდ.

თამაზ ცხადაძე
ქუთაისის №1 საჯარო სკოლა

არ მინდა, მინისტრთან აზრის გამოთქმას, დიალოგს, საუბარს თავს არიდებდნენ, მასთან საუბრის თემატიკას ადგენდეს და კონტროლს ახორციელებდეს მისი გარემოცვა.

* * *

სასურველი ფაქტის წინაშე დავდექით. საზოგადოებას ეკითხებიან და მსჯელობენ კიდეც განათლების მინისტრის შეფასების კრიტერიუმზე, თუ როგორი უნდა იყოს პიროვნება, რომელზეც ბევრწილადაა დამოკიდებული ქვეყნის მომავალი. ინტერესი გასაგებია. უკანასკნელი წლების განმავლობაში მშობლები, მოსწავლეები, არა მარტო ისინი, ინტერესით ადევნებდნენ თვალს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში განვითარებულ მოვლენებს. ყოველი მინისტრის შეცვლა აუცილებლად განაპირობებდა რაღაც რადიკალურ, არც თუ ისე გააზრებულ, ყოველგვარი სერიოზული კვლევის გარეშე, ნაბიჯების გადადგმას. პრესტიჟულად ითვლებოდა არა წინამორბედების მიერ დაწყებული საქმის განმტკიცება-გაფართოება და სიღრმისეული წვდომა, არამედ რაღაც ახალის, გასაპიარებელი პროექტების რეალიზება. განათლების სფეროში ჩართული უზარმაზარი მასა ხდებოდა მანიპულირების საგანი. ქმედების მიზანი მარტივი იყო... განათლების სისტემის რაღაც ასპექტი მივიდა კრიტიკულ ზღვრამდე, რომლის დაძლევაც შესაძლებელია და მზაობა უკვე გამოხატულია, თუნდაც დასმული კითხვით: „როგორი მინისტრი ნებავს საზოგადოებას?“

ვგონებ უმჯობესია საკითხი დავსვათ ასე – „როგორი არ უნდა იყოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი“, რადგანაც პიროვნება როდესაც ცვლილების მოლოდინშია, მას ამ ცვლილებას და ცვლილებისათვის ქმედებას აიძულებს გარეგანი ფაქტორი, ის თუ რისი ხილვა აღარ სურს.

უპირველეს ყოვლისა, სასურველია მინისტრი არ იყოს ძალოვანი ან მასთან ასოცირებული სტრუქტურებიდან მოსული პიროვნება. როგორც წესი, ის მარტო არ მოდის, მოყვება გუნდი წინა გარემოცვიდან და ჰაერი იუღინთება „დენთის სუნით“, ხოლო ეს გარემო მიუღებელია საგანმანათლებლო სფეროსათვის.

არ მინდა, მინისტრი ან მისი გუნდი სკოლის, უმაღლესი სასწავლებლის სამუშაო გამოცდილების გარეშე ფორმირდებოდეს, რომ ბრძანების ან რომელიმე ნორმატიული აქტის გამოცემისას, უპირველესად, ამოდიოდეს მოსწავლიდან, მასწავლებლიდან, სკოლის საჭიროებებიდან და არა პოლიტიკური ისტებლიშმენტის განწყობილებიდან.

არ მინდა, მინისტრთან აზრის გამოთქმას, დიალოგს, საუბარს თავს არიდებდნენ, მასთან საუბრის თემატიკას ადგენდეს და კონტროლს ახორციელებდეს მისი გარემოცვა.

მიუღებელია, რომ სამინისტროში ან სამინისტროდან სკოლაში მოვლინებული პიროვნება (მეორე მხარისათვის მინისტრის სახე) უხეშად, შეურაცხმყოფელად ესაუბრებოდეს ადამიანებს.

სკოლები განათლების სისტემის მთლიანი ნაწილის განუყოფელი და საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილია, სადაც აკუმულირება და განხორციელება ხდება ყოველივე იმ თეორიული თუ პრაქტიკული გამოცდილებისა, რომელიც მოსწავლეზეა

აქტუალური თემა

ორიენტირებული. ქვეყნის განათლების სამინისტროს პოლიტიკა საბოლოო სახით იქ იხარშება, ხოლო იმ ცეცხლს სკოლაში რომ ანთია, გარედანაც სულის ბერვა (თანამშრომლობა) უნდა. უმეტესი პროექტი სკოლაში განხილვის, პილოტირებისა და შემდგომში საბოლოო სახის მიცემამდე კვლევის ჩატარების გარეშე, არ უნდა ხდებოდეს. აუცილებლად მიმაჩნია, მეგაპროექტის დანერგვის წინაპერიოდი სკოლებთან თანამშრომლობით მიმდინარეობდეს.

უნდა დაინგრეს დემოკრატიული ქვეყნისათვის მიუღებელი, სკოლის გარე სამყაროსგან იზოლირების ყველა ბარიერი. სკოლა კვლავ უნდა გახდეს საზოგადოებისათვის ღია და სრულფასოვანი ინსტიტუცია. სასწავლო პროცესის სრულყოფა შეუძლებელია დიალოგისა და ჩართულობის გარეშე.

ქვეყნის დემოკრატიული განვითარება მოითხოვს ისევ დეცენტრალიზაციას, რომელიც სკოლებმა ბოლო პერიოდში საკანონმდებლო თუ ზემდგომთა სუბიექტურ მოსაზრებათა ძალისხმევით დაკარგეს.

უნდა განხორციელდეს მანდატურის სამსახურის საფუძვლიანი რეფორმირება, რაც გულისხმობს ამჟამად სკოლის შიგნით, ფაქტობრივად, ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად ჩამოყალიბებული სტრუქტურის ფუნქციის შეცვლას.

მიმაჩნია, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, მეორე სავალდებულო, უცხოური ენის სწავლება მეშვიდე კლასის ნაცვლად უნდა დაიწყოს მეხუთე კლასიდან.

მასწავლებელთა შეფასების კრიტერიუმში გამოკვეთილ ადგილს დავუთმობდი საგაკვეთილო პროცესის შედეგად მიღწეულ შედეგს.

მედლის გაცემასთან დაკავშირებულ სუბიექტური ფაქტორების თავიდან ასაცილებლად, შეფასების ერთიანი სისტემის დაქვემდებარებისა და მეტი ობიექტურობის მიზნით, სასურველია მედლის გაცემა მოხდეს CAT-ის გამოცდების შედეგების საფუძველზე.

გატარებული რეფორმებიდან ძირითადი სახით შევინარჩუნებდი მის ყველაზე დიდ მონაპოვარს, ეროვნულ სასწავლო გეგმას, ასევე დავხვეწდი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მექანიზმსა და მოსწავლეთა საატესტატო გამოცდებს.

დავით კაჭნიაშვილი
კერძო სკოლა-ლიცეუმი „მწიგნობართუხუცესი“

განათლების სამინისტრომ განათლების პოლიტიკაში აუცილებლად უნდა გამოყოს მიმართულება კერძო სკოლების განვითარების ხელშეწყობისთვის.

* * *

განათლების სისტემა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია, მას ყველა ოჯახთან აქვს შეხება, რადგან ყველა ოჯახში არის ბავშვი. ოჯახისათვის მთავარი საზრუნავი შვილის აღზრდა და მისთვის სათანადო განათლების მიცემა, განათლებული, პატიოსანი, წესიერი პიროვნების ჩამოყალიბებაა, რომელიც კანონის უზენაესობას აღიარებს და დაიცავს. ეს ყველა ოჯახისთვის ფასეულია და ჩვენი ქვეყნის ნათელი მომავალია. კიდევ უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება განათლების სისტემის მნიშვნელობის შესახებ, მაგრამ ვფიქრობ, ზემოთ თქმულიც საკმარისია და ჭეშმარიტებას ბევრი მტკიცება არ სჭირდება.

ვისურვებდი, რომ განათლების მინისტრი შეირჩეს შემდეგი კრიტერიუმებით: იგი უნდა იყოს საშუალო ასაკის, განათლებული, პატიოსანი, საქმის პატრიოტი, პროგრესული, გულისხმიერი, აუჩქარებელი, ჰქონდეს კარგი კომუნიკაციის უნარი, ჰქონდეს სკოლასთან (სასურველია უმაღლეს სკოლასთანაც) ურთიერთობის გამოცდილება.

* * *

განათლების სამინისტრო არის ქვეყანაში განათლების პოლიტიკის გამტარებელი, განათლების პოლიტიკის ერთ-ერთი განმახორციელებელი არის კერძო სკოლა. კერძო სკოლის განსაკუთრებულობა სწორედ იმაშია, რომ მას ჰყავს ორი დამფინანსებელი, სახელმწიფო და მოსწავლის მშობელი. ქვეყანა გამოყოფს გარკვეულ თანხებს სკოლებისთვის ქვეყნის ბიუჯეტის შესაძლებლობიდან გამომდინარე, მშობელი კი გამოყოფს ოჯახის ბიუჯეტიდან თანხებს, რათა მისცეს შვილს ხარისხიანი თანამედროვე განათლება; ამიტომ კერძო სკოლა ვალდებულია, შეასრულოს სახელმწიფო ეროვნული სასწავლო გეგმა და, ამასთან, დამოუკიდებლად შექმნას თავისი განსხვავებული, მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამა.

ამიტომაც განათლების სამინისტრომ, კერძო სკოლის საქმიანობაში ჩაურევლად, ხელი უნდა შეუწყოს განათლების სისტემაში ახალი ტექნოლოგიების შემოტანას და კერძო სკოლებში დანერგვას, რადგან ეს საჯარო და კერძო სექტორებს შორის კონკურენციასაც შეუწყობს ხელს და იმ ოჯახების შეკვეთასაც დააკმაყოფილებს, რომელთაც სურთ საკუთარი ფინანსებით მისცენ შვილებს თანამედროვე სრულყოფილი განათლება.

კერძო სკოლები თუ არ განვითარდება, ბევრმა ოჯახმა შესაძლოა გადაწყვიტოს საკუთარი შვილების სხვა ქვეყნებში გაგზავნა თანამედროვე განათლების მისაღებად. ეს რომ ძალიან ცუდი მოვლენაა, ვფიქრობ, ამას დასაბუთება არ სჭირდება, მაგრამ ერთს მაინც აღვნიშნავ, რომ ქართველმა ქართულ ენაზე უნდა ისწავლოს და ქართულ ენაზე იაზროვნოს, სხვაგვარად დაიკარგება ქართული ფენომენი, რაც ჩვენთვისაც ცუდია და მსოფლიოსთვისაც, რადგან ხალხთა განვითარების წყარო სწორედ მრავალფეროვნებაშია.

ჩემი აზრით, სახელმწიფომ უნდა შექმნას ყველა დარგის – ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის პირობები. განათლების სამინისტრომ განათლების პოლიტიკაში აუცილებლად უნდა გამოყოს მიმართულება კერძო სკოლების განვითარების ხელშეწყობისთვის.

* * *

ჩემი აზრით, ქვეყანაში არ არის ბოლომდე მოწესრიგებული განათლების სისტემაში მიღებული ცოდნის კონტროლის სისტემა.

აუცილებელია, ეროვნული გამოცდების სისტემაში დაინერგოს გამოცდები: პირველად დაწყებითი საფეხურის (VI კლასის) დამთავრების შემდეგ, შემდგომ ეტაპზე საბაზო საფეხურის (IX კლასის) დამთავრების შემდეგ და ბოლოს საშუალო საფეხურის (XII კლასის) დასრულების შემდეგ.

გამოცდებზე როდესაც ვსაუბრობთ, ყველას მიაჩნია, რომ გამოცდებმა უნდა გამოავლინოს, ვინ ვერ სწავლობს ამა თუ იმ საგანს და განხორციელდეს მოსწავლეების მიმართ რეპრესიული ღონისძიებები, კლასში დატოვება განმეორებითი სწავლისთვის, ან სკოლიდან გარიცხვა და სხვა.

მე ასე არ ვფიქრობ. გამოცდები იმისთვის არის საჭირო, რომ სკოლამ იცოდეს, რა ვერ ასწავლა და რა კორექტივებია შესატანი სწავლების სისტემაში, რა უნდა შეიცვალოს სასწავლო გეგმებში, სახელმძღვანელოებში და ა.შ. ასევე მშობელი ნეიტრალური, ობიექტური, სარწმუნო გამოცდების შედეგებით ორიენტირებული გახდეს, როგორ შეუწყოს ხელი თავის შვილს, რათა მიიღოს სასურველი შედეგი ბავშვის შესაძლებლობების გათვალისწინებით. ბავშვი, რომელიც რომელიმე საგანს ვერ სწავლობს, არ უნდა დავთრგუნოთ. მას აქვს უფლება იყოს ბედნიერი, ხელი უნდა შევუწყოთ მის ინტეგრაციას და დავეხმაროთ, მაქსიმალურად განავითაროს საკუთარი შესაძლებლობები და ამ მიმართულებით მიიღოს სათანადო განათლება.

რაც შეეხება დღევანდელ ეროვნულ გამოცდებს, ვფიქრობ, პრაქტიკამ აჩვენა, რომ ის კარგია და უნდა გაგრძელდეს, მხოლოდ საჭიროა X-XII კლასებში მოსწავლეებს მოეთხოვებოდეს იმ საგნების სწავლა, რომლებიც ეროვნულ გამოცდებზე უნდა ჩააბარონ. ეს რომ უფრო გასაგები იყოს, განვმარტავ – ზოგადსაგანმანათლებლო სავალდებულო საგნების სწავლება, ძირითადად, უნდა დამთავრდეს საბაზო საფეხურზე, ხოლო X-XII კლასებში საჭიროა მოსწავლემ აირჩიოს მისთვის სასურველი მიმართულება (დარგი) და იმის მიხედვით ისწავლოს 4-5-6 საგანი (მრავალი ქვეყნის გამოცდილებიდან გამომდინარე) და სწორედ ამ არჩეულ საგნებში ჩატარდეს ეროვნული გამოცდები. რა ფორმით და სად ჩატარდება, ეს ეროვნული გამოცდების ცენტრმა უნდა გადაწყვიტოს.

აქვე მნიშვნელოვნად მიმაჩნია აღვნიშნო, გამოცდებმა რომ შეასრულოს ფუნქცია – იქცეს სასწავლო პროცესის შემადგენელ ნაწილად, ამისათვის საჭიროა შეიქმნას საგამოცდო საკონტროლო საკითხთა ბანკი (კონკრეტული), რათა მოსწავლე ამ საკითხების მიხედვით მოემზადოს გამოცდებისთვის. ჩემთვის გაუგებარია, რატომ ვუმალავთ მოსწავლეებს საგამოცდო საკითხებს, რატომ ვბეჭდავთ სადღაც და ჩუმად. მოსწავლემ არ უნდა იცოდეს, რომელი საკითხი შეხვდება კონკრეტულად გამოცდაზე, მაგრამ რა შეკითხვებია მოსალოდნელი, უნდა იცოდეს. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩემი ოპონენტები მეუბნებიან: რა საჭიროა, საკითხები ხომ არის თემების ჩამონათვალი (პროგრამა). ეს იმ ადამიანების მოსაზრებაა, რომლებსაც აღარ ახსოვთ, თვითონ რომ იყვნენ მოსწავლეები. მეტ განმარტებას აღარ ვიტყვი, რადგან საგამოცდო საკითხთა ბანკი ბევრ ქვეყანაში არსებობს. თუ არ შეგაწყინეთ, ერთიც მინდა დავამატო: ძალიან ბევრს საუბრობენ, რომ მოსწავლეს უნდა ჰქონდეს აზროვნების უნარი, ასეთი უნარის დასადგენად არსებობს ე.წ. უნარების გამოცდა და ეს, ვფიქრობ, საკმარისია.

* * *

კითხვაზე – რა უნდა შენარჩუნდეს უკვე გატარებული რეფორმებიდან? – ჩემი პასუხი მარტივი იქნება, ყველაფერი. ოღონდ საჭიროდ მიმაჩნია რეფორმისეული ყველა აქტივობის შემდგომი დახვეწა და სრულყოფა.

მაგალითად: სკოლების ავტორიზაცია, პედაგოგთა სერტიფიცირება და ა.შ.

ტარიელ ქათამაძე
ქობულეთის მუნიციპალიტეტის ჩაქვის №1 საჯარო სკოლა

განათლების მინისტრს უნდა შეეძლოს კრიტიკის თავისუფლად მიღება და მისი გააზრება.

* * *

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი კარგად უნდა იცნობდეს სისტემაში არსებულ პრობლემებს, სისტემა არ უნდა ჰქონდეს დახურული. კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებამდე საჯაროდ უნდა გამოჰქონდეს ყველა საკითხი განსახილველად. განათლების მინისტრს უნდა შეეძლოს კრიტიკის თავისუფლად მიღება და მისი გააზრება. უნდა იყოს ინტეგრირებული დასავლურ საგანმანათლებლო და სამეცნიერო წრეებთან, თუმცა, ჩვენს ქვეყანაზე მორგებული, ჩვენი რეალობის ანალიზზე დაყრდნობით, ჩვენი საზოგადოებრივი კონფიგურაციისა და ქვეყანაში არსებული რესურსების გათვალისწინებით. მინისტრი უნდა ხვდებოდეს, რომ სწორედ სკოლა არის საფუძველი იმისა, თუ როგორი მეცნიერები გვეყოლება მომავალში... ერთი წელი მაინც უნდა ჰქონდეს ნამუშევარი სკოლაში ან უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში ლექტორ/მასწავლებლად.

* * *

სამინისტროსა და საჯარო სკოლებს შორის უნდა მოისპოს არსებული ბიუროკრატიული მექანიზმი. არჩეულ დირექტორს უნდა მიეცეს საშუალება რეალურად დამოუკიდებლად მართოს სკოლა კანონის სრული დაცვით. ამჟამად სკოლის დირექტორს უფლება არა აქვს სამინისტროსთან შეუთანხმებლად თუნდაც იჯარით გასცეს სკოლის ბუფეტი ან რაიმე სპორტული სექციისათვის სპორტდარბაზი... სამინისტრომ უნდა შეიმუშაოს ერთიანი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც დაარეგულირებს სკოლებში არსებულ ყველა პრობლემას. სამინისტრო არ უნდა იყოს მხოლოდ მაკონტროლებელი სტრუქტურა, რომელმაც ორი წლის წინ კიდევ ერთი ახალი სტრუქტურა შექმნა საკონტროლოდ მანდატურის სახით. სკოლებში მანდატურის შესვლით საერთოდ დაკნინდა სკოლის დირექტორის ფუნქცია, ხოლო მასწავლებლებს შეელახათ პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია.

* * *

♦ მანდატურები უნდა გავიდნენ სკოლიდან და, მათ ნაცვლად, კლასის დამრიგებლებს გაეზარდოთ ხელფასები, რათა უფრო მეტი დრო დაუთმონ სადამრიგებლო კლასს სააღმზრდელო მუშაობისათვის;
♦ სკოლის დამწყებ პედაგოგს უნდა მიეცეს ხელფასი არანაკლებ 700 ლარისა, სახელმწიფო დაზღვევა და სატრანსპორტო მგზავრობის ხარჯები;
♦ უნდა შემუშავდეს სკოლებისათვის ინდივიდუალური ვაუჩერული დაფინანსება;
♦ სამინისტროს მიერ უნდა შემუშავდეს და დამტკიცდეს ერთიანი სტანდარტი სკოლის ადმინისტრაცია/ტექპერსონალთა საშტატო განრიგის, სკოლის შენობა-ნაგებობისა და სკოლის მოსწავლეთა კონტინგენტის გათვალისწინებით;
♦ თუ აუცილებელია, რომ აჭარაში იარსებოს განათლების სამინისტრომ, საჭიროა მას მიეცეს დელეგირება სხვადასხვა საკითხების დედაქალაქში ჩაუსვლელად გადაწყვეტისა;
♦ სკოლების კონტროლისა და მოტივაციისათვის აუცილებელია, სამინისტრომ სკოლები შერჩევითობის პრინციპით შეარჩიოს და ჩაუტაროს ტესტირება აკადემიური დონის დასადგენად (სკოლაში დაბალი აკადემიური დონის გამოვლენის შემთხვევაში, სამინისტრომ მიიღოს გადაწყვეტილება სკოლის ადმინისტრაციის დათხოვნის შესახებ).
♦ შეიქმნას სკოლებისათვის სპეციალიზირებული საგანმანათლებლო რესურსების საბითუმო მაღაზია, სადაც შესაძლებელი იქნება სკოლებისათვის ყველა სახის თვალსაჩინოებისა და მასალების შეძენა;
♦ დაიხვეწოს ეროვნული სასწავლო გეგმა და მის შემუშავებაში გათვალისწინებულ იქნეს მოქმედი სკოლის დირექტორებისა და მასწავლებლების აზრი.

* * *

უკვე გატარებული რეფორმებიდან უნდა შენარჩუნდეს:
♦ ეროვნული და სასკოლო საატესტატო გამოცდები;
♦ მასწავლებელთა გადამზადება.

→ 4

აქტუალური თემა

გია მურღულია
თბილისის №24 საჯარო სკოლის დირექტორი

მე პირადად ველი მინისტრისაგან, სხვათა შორის ნებისმიერი მინისტრისაგან, ოპერატიულად ხარისხიანი გადაწყვეტილებების მიღებისა და მათი საჯაროდ დასაბუთების უნარს.

* * *

ბოლო დროს ბევრს საუბრობენ მინისტრის შერჩევის კრიტერიუმებსა და მის ამოცანებზე, რაც ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. პირველ რიგში, მინისტრზე პასუხისმგებლობა მმართველმა ძალამ უნდა აიღოს. ამ ადამიანს აუცილებლად უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება და კომპეტენცია, ასევე, ნება იმისა, რომ განახორციელოს კოალიციის მიერ წარმოდგენილი საარჩევნო პროგრამა. ერთია, რა წერია პროგრამაში, მეორე, თუ როგორ განხორციელდება ის. პროგრამაში საკმაოდ ამბიციური ამოცანები და მიზნებია წარმოდგენილი და თან საინტერესოც. მაგრამ, ბუნებრივია, იბადება მთავარი კითხვა – როგორ უნდა განხორციელდეს. იმ პერსონისაგან, ვინც მინისტრად დაინიშნება, საზოგადოებას უნდა ჰქონდეს მოლოდინი, რომ ის კოალიციის მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შემსრულებელია. მეორე მხრივ, ამ ადამიანს, ჩემი აზრით, უნდა ჰქონდეს სისტემური ხედვა. ყოფილა შემთხვევები, როცა ხან ერთ სფეროს მიადგებიან, ხან მეორეს ან მესამეს. შეიძლება ამ სფეროს მასშტაბით გადაწყვეტილებები ნორმალურიც იყოს, ზოგჯერ კარგიც, მაგრამ თუ სისტემური ხედვა არ არის, ანუ თუ არ ვიცით ამა თუ იმ სფეროში მიღებული გადაწყვეტილება როგორ გამომჟღავნდება სხვა სფეროებთან მიმართებაში, ძალიან ძნელია შეფასებების გაკეთება. მესამე, რასაც მე პირადად ველი მინისტრისაგან, სხვათა შორის ნებისმიერი მინისტრისაგან, ეს არის ოპერატიულად ხარისხიანი გადაწყვეტილებების მიღების უნარი. მაგალითად, ახლა ყველას აინტერესებს, როგორი იქნება საგამოცდო სისტემა. ეს ძალიან რთული საკითხია, იმიტომ რომ, ერთი მხრივ, მიღებული იყო გადაწყვეტილება 8+1-ზე, თვეების განმავლობაში მუშაობდნენ ჯგუფები და საზოგადოებისგან იყო მოლოდინი, რომ ეს ყველაფერი გაცხადდებოდა, საზოგადოება გაიგებდა, თამაშის რა წესები იქნებოდა. ახლა კეთდება განცხადებები, რომ ეს შეიცვლება. თავისი პლუსი და მინუსი ყველაფერს აქვს, მაგრამ საზოგადოება უფლებამოსილია, იცოდეს რა გადაწვეტილებებია მიღებული და ეს უნდა იცოდეს რაც შეიძლება დროულად. თუ ჩვენ ვბრუნდებით ისევ ძველ სისტემაში, ამას გარკვეული დრო დასჭირდება, რომ გაირკვეს, რას შესთავაზებს ძველი სისტემა ახალ ვითარებაში აბიტურიენტებს. იმედი მაქვს, ეს რაც შეიძლება სწრაფად განისაზღვრება და გაკეთდება, რომ აბიტურიენტებმა დროზე მიიღონ ინფორმაცია, თუ როგორ მოემზადონ გამოცდებისთვის.

ძალიან მნიშვნელოვანია ასევე საზოგადოებასთან კომუნიკაციის უნარი, მით უმეტეს, როდესაც სისტემაში რეფორმები ტარდება და საზოგადოების ინტერესი მაღალია. იმ ქვეყნებში, რომლებიც მეტ-ნაკლები წარმატებით ახორციელებენ რეფორმებს, ამის თვალსაჩინო გამოცდილება არსებობს – განათლების მინისტრი ლამის ყოველკვირა ესაუბრება მაყურებელს – ან გაზეთის ფურცლებიდან მიმართავს მოსახლეობას, ან რადიოთი. მოკლედ, კომუნიკაციის ყველანაირ საშუალებას იყენებს, რათა კარგად გააგებინოს საზოგადოებას რა მიზნებია, რა ვადებში და რა ძალებით აპირებს ამ მიზნების მიღწევას ან ამოცანების გადაჭრას. ეს არის ძალიან არსებითი. ამავე კონტექსტში ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ მინისტრს ჰქონდეს გადაწყვეტილებათა საჯარო დასაბუთების უნარი. ის არა მხოლოდ უნდა წარმოადგენდეს გადაწყვეტილებებს, არამედ უნდა დაასაბუთოს კიდეც, რატომ არის ჩვენი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, რომ მაინცდამაინც ეს გადაწყვეტილებები განხორციელდეს.

შემდეგი საკითხი უკავშირდება კადრების შერჩევისა და შეფასების უნარს. შერჩევასაც ძალიან მნიშვნელოვანი გამოცდილება და უნარები სჭირდება და შეფასებასაც. ხშირად ადამიანები ლმობიერად ეკიდებიან ხოლმე იმათ გადაცდომებს, ვისაც თავადვე ნიშნავენ – ირიბად გამოდის, რომ შემეშალაო. ხელმძღვანელს, მით უმეტეს პოლიტიკურ ხელმძღვანელს, ამის უნარიც უნდა ჰქონდეს და შესაბამისი გადაწყვეტილების დროულად მიღების უნარიც.

ამ პროგრამის განხორციელებისთვის საჭიროა შესაბამისი ინსტიტუციების ერთმანეთთან ურთიერთობის ხარისხის და ფორმატის გააზრება, ანუ ვგულისხმობ, რომ ამას ყველაფერს მართვის ახალი სტრუქტურის შექმნა დასჭირდება.

კონკრეტულად უნდა განისაზღვროს ამოცანები და სისტემაში დასაქმებულ ადამიანებს უნდა გვითხრან, როგორ განხორციელდება ეს ყველაფერი. მაგალითად, რა პერსპექტივა აქვს ინფრასტრუქტურის შემდგომ განვითარებას. წინა ხელისუფლების დროს დაიწყო ეს პროცესი, კარგი იქნებოდა, რომ უფრო სწრაფი და მასშტაბური ყოფილიყო. ბუნებრივია, უნდა გაგრძელდეს, რადგან საქართველოში ყველა სკოლა, სკოლამდელი თუ უმაღლესი სასწავლო დაწესებულება არ არის სათანადო კონდიციამდე მიყვანილი. მე ცუდი არაფერი მეთქმის, იმიტომ რომ ჩვენს სკოლაში რემონტი ჩატარდა და მეტ-ნაკლებად მისაღები სახე აქვს სკოლას. მოკლედ, უნდა გაცხადდეს ინფრასტრუქტურული განვითარების თვალსაზრისით, რა კეთდება უახლოეს ერთ-ორ წელიწადში ან უფრო ხანგრძლივი პერსპექტივით.

მეორე თემა, ეს არის განათლების ხარისხის ამაღლების საკითხი – საინტერესოა, რა ნაბიჯები გადაიდგმება ამ მიმართულებით. კარგია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მეტ თავისუფლებაზე და პრაქტიკულად თავისუფლებაზეა საუბარი, ისევე როგორც შეფასებისა და ეროვნული გამოცდების ცენტრის მეტ თავისუფლებაზე, ლამის გამოცალკევებაზე და დამოუკიდებლობის მაღალ ხარისხზე. ეს ძალიან კარგია, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, მართვის სისტემაში როგორ იმუშავებენ სამინისტრო და დამოუკიდებელი ცენტრები, ერთმანეთთან კოორდინაციის რა ხარისხი ექნებათ, ეს იქნება დამოკიდებული მხოლოდ მინისტრისა და ამ დამოუკიდებელი ცენტრების ხელმძღვანელების პირად ნებაზე, თუ კანონით მოხდება მისი განსაზღვრა. ეს ყველაფერი გასაცხადებელია საჯაროდ.

რა ხდება კადრების პროფესიული განვითარების თვალსაზრისით. აქ წერია, რომ პედაგოგებსა და აკადემიურ პერსონალს არა აქვს სათანადო კვალიფიკაცია, დაბალი ხარისხისაა და მაღალი ფასი ადევს სახელმძღვანელოებს; ამაზე წლების განმავლობაში ვლაპარაკობდით, თუმცა არ გავააბსოლუტებდი ასე, ვერ ვიტყვი იმას, რომ პედაგოგიურ პერსონალს სათანადო კვალიფიკაცია არ აქვს – ზოგს აქვს და ზოგს არა. ასეთი გათანაბრება, რომ საქართველოში პედაგოგს სათანადო კვალიფიკაცია არ აქვს, ჩემი აზრით, არასწორია. არ შეიძლება ვთქვათ, რომ საქართველოში არც ერთ მასწავლებელს არ აქვს სათანადო კვალიფიკაცია, რომ მასზე დაკისრებული ფუნქცია შეასრულოს. თუმცა, სამწუხაროდ, ისიც უნდა ითქვას, რომ ბევრს მართლა არ აქვს. მაგალითად, მასწავლებელთა სერტიფიცირების პროცესმა დაგვარწმუნა, რომ პროცენტულად არ არის ძალიან მაღალი წარმატებული პედაგოგების რიცხვი, ვინც დაძლია წაყენებული მოთხოვნები, თან არც თუ მაღალი მოთხოვნები. ეს უსათუოდ გამოსასწორებელია. აქვე გეტყვით, რომ მინისტრს უნდა ჰქონდეს პოლიტიკური ნებაც და პიროვნული ამბიციაც იმისა, რომ მოვლენებს და ფაქტებს თავისი სახელი დაარქვას. ძალიან ხშირად ქართველებს გვახასიათებს ასეთი რამ, ოღონდ ადამიანს არ ვაწყენინოთ და შეიძლება ვაწყენინოთ საქმეს. აქედან გამომდინარე, კარგი კაცის სახელის მოსაპოვებლად ბევრი ცუდად იქცევა ხოლმე, ანუ საქმეს უარყოფს და ბავშვების ხარჯზე შეიძლება ლმობიერი იყოს ვიღაცის მიმართ და ა.შ. არ არის აუცილებელი, რომ პედაგოგი, ვინც ჯერჯერობით ვერ აკმაყოფილებს სათანადო მოთხოვნებს, პირდაპირ გავუშვათ სკოლიდან, მას უნდა მივცეთ გონივრული ვადა იმისთვის, რომ ეს ყველაფერი გაუმჯობესოს.

შემდეგი, რაც მინდა გითხრათ, არის მასწავლებელთა სერტიფიცირება. ნამდვილად არ იყო ურიგო ნაბიჯი, რადგან აუცილებელია მასწავლებელთა სერტიფიცირება, თუნდაც იმისთვის, რომ საზოგადოება უფლებამოსილია იცოდეს, ვინ ასწავლის მათ შვილებს, ახალ თაობას. ამას ყოველთვის ვამბობდი და ახლაც გავიმეორებ, რომ მხოლოდ ცოდნაზე – ცოდნის შემოწმებაზე დაფუძნებული სერტიფიცირება საკმარისი არ არის. მე შეიძლება თეორიულად რაღაც ძალიან კარგად ვიცოდე, მაგრამ ამ ცოდნას კარგად ვერ ვიყენებდე. ამიტომაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმას, როგორ გაკვეთილს ვატარებ. მასწავლებელი გაკვეთილით უნდა შეფასდეს და არა იმით, წითელი დიპლომი აიღო თუ არა. შეიძლება, ძალიან კარგი მცოდნე ვიყავი სასკოლო პროგრამისა, როცა უნივერსიტეტი დავამთავრე. სხვათა შორის წითელ დიპლომზე დავამთავრე, სკოლაში რომ მივედი, ბევრიც მაქებდა, ეს ძალიან მომწონდა კიდეც, მაგრამ შემდეგ, წლების გადასახედიდან, მივხვდი, რომ კარგი მასწავლებელი არ ვიყავი. აქცენტი იმაზე უნდა გააკეთო, მოსწავლე რას სწავლობს შენგან და არა იმაზე, შენ როგორ მეტყველებ გაკვეთილზე. სერტიფიცირებისას აუცილებელია შეფასდეს მასწავლებლის პედაგოგიური პრაქტიკა. მართალია, ეს ძალიან ძნელი პროცესია, მაგრამ – აუცილებელი.

ამ პროგრამაში ძალიან მხიბლავს ისიც, რომ სკოლას დაუბრუნდება აღმზრდელობითი ფუნქცია. განზრახვა კარგია, მაგრამ – როგორ? ეს არის მთავარი კითხვა. მე ამ სკოლაში უკვე შვიდი წელია დირექტორად ვმუშაობ. ამ ხნის განმავლობაში ვცდილობ, 24-ე სკოლის აღმზრდელობითი კონცეფცია ყველამ გაიაზროს და შემდეგ განახორციელოს. განხორციელებამდე ჯერ საქმე სანახევროდაა მისული და პრობლემის აღქმის, გააზრების გაცნობიერებული განხორციელების თვალსაზრისით ძალიან სერიოზული პრობლემებია. ამისთვის საჭიროა გადავხედოთ ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, ასევე, საჭიროა ბევრი ტრენინგი ჩატარდეს და მასწავლებელთა კორპუსი მოემზადოს ამ მიზნების განსახორციელებლად. ასე იოლად სკოლა ვერ დაიბრუნებს ამ ფუნქციის შესრულებას. სერიოზულ პრობლემად მეჩვენება მასწავლებელთა მომზადების თეორიული და პრაქტიკული უნარები, წლების განმავლობაში ვლაპარაკობ ამაზე, თუმცა ბევრი არაფერი შეცვლილა ამ თვალსაზრისით. დასავლური წარმატებული გამოცდილება გვეუბნება, რომ მასწავლებლის მომზადების თეორიული და პრაქტიკული ურთიერთმიმართების მაჩვენებლები ყველაზე უარესი უნდა იყოს – 40/60-ზე, ანუ 40 პროცენტი თეორია და 60 პროცენტი სასკოლო გამოცდილების შეძენა, ზოგჯერ ეს უფრო მეტადაც განსხვავდება ხოლმე; ჩვენთან კი 90 პროცენტი თეორიაა და 10 პროცენტიც არ არის პრაქტიკა. ჯარისკაცი ყალიბდება ბრძოლაში – ამბობენ განათლების თეორეტიკოსები და ამას აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს უმაღლესი სასწავლებლების პროგრამები. სკოლაში ხშირად მიმიღია პრაქტიკანტები. ჯერ ერთი, ძალიან ცოტა დროა ამისთვის გამოყოფილი, მეორეც, მენტორ ან წამყვან მასწავლებელს, რომელიც მუშაობს პრაქტიკანტებთან, არაფერს უხდიან, ანუ მათი შრომა აინუნშიაც არ არის ჩათვლილი. მათი მოტივაცია ნულია და ცარიელ ენთუზიაზმს ეყრდნობა. არადა, უმაღლესი სკოლა, პრაქტიკულად, ფასიანია. სასწავლო პროცესში პრაქტიკისთვის გათვალისწინებული დროისთვის სტუდენტი ისევე იხდის თანხას, როგორც დანარჩენი სასწავლო პროცესისთვის. სად მიდის ეს თანხა? ამ დროს ხომ მას უმაღლეს სასწავლებელში ლექცია არ უტარდება. ეს კიდევ სხვა საკითხია. მთავარი, რისი თქმაც მინდა, არის ის, რომ უნდა შეიცვალოს მასწავლებლის მომზადების ლოგიკა, ვიდრე მასწავლებელი სკოლაში მოვა, ის მზადმყოფი უნდა იყოს ამ საქმის შესასრულებლად.

ძალიან კარგი განზრახვაა, ასევე, კლასში არ იყოს 25 მოსწავლეზე მეტი, მაგრამ როგორ, რა ვადებში? „კბილებით მიჭირავს“, რომ კლასში 30 ბავშვზე მეტი არ ჩავრიცხო, ხან ვინ მირეკავს, ხან ვინ, რომ მივიღოთ მოსწავლე. ასე არის ბევრ სხვა სკოლაშიც. კანონი ყველასთვის კანონი უნდა იყოს. თუ მივიღებთ კანონს, რომ კლასში 25 ბავშვზე მეტი არ უნდა იყოს, ის უნდა გავრცელდეს საქართველოს მასშტაბით და ყველა სკოლისთვის ერთნაირად. ბოლოსდაბოლოს, უნდა ვისწავლოთ კანონის დაცვა.

შემდეგი საკითხი ეხება სკოლამდელი დაწებულებების საღმზრდელო გეგმის და პროგრამის შემუშავებასა და დანერგვას. ეს ძალიან მნიშვნელოვანი სკითხია, მაგრამ აქ ერთი კითხვა იბადება – გახდება თუ არა სკოლამდელი განათლება ამ გადაწყვეტილებით არა აღმზრდელობითი, როგორც აქამდე იყო, არამედ განათლების სისტემის ნაწილ დაწესებულებად. სახელიც ამის შესაბამისად უნდა დავარქვათ. თუ ამას საგანმანათლებლო გეგმა ჰქვია, ე.ი. ის საგანმანათლებლო სისტემა ყოფილა და თუკი ის სასკოლო განათლებისთვის მომზადების დროა, მაშინ ყველა ბავშვი უნდა ჩაერთოს და არა რამდენიმე პროცენტი, როგორც ახლა არის ჩართული. 5-წლიანი ბავშვების მიღებასაც ძალიან ფრთხილად ვუყურებ, რადგან 5-წლიანი ბავშვები, ძირითადად, სასკოლო პროგრამას მასობრივად ვერ ძლევენ.

შემდეგი საკითხი – როგორი იქნება დაფინანსების ახალი სისტემა. ცხადდება, რომ მხოლოდ ვაუჩერული დაფინანსების სისტემა აღარ იქნება. საინტერესოა, კონკრეტულად რა სახე ექნება სკოლების დაფინანსებას.

ასევე, ძალიან საინტერესოდ მიმაჩნია, თუ რა შინაარსით შეივსება სიტყვები – „ამაღლდება მასწავლებლების სოციალური სტატუსი“ – რა იქნება მათი ხელფასი? მექნება თუ არა შესაძლებლობა, სკოლაში მასწავლებლად მამაკაცი მოვიწვიო, ამას თითქმის ვერ ვახერხებ და ძალიან ცოტა კაცი მასწავლებელი მყავს.

ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა, როგორ გაიზრდება მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში. ვგულისხმობ გააზრებულ ჩართულობას, ეს ერთ-ერთი დიდი ბერკეტია სკოლის წარმატებისთვის. მათ უნდა იცოდნენ, რა კეთდება სკოლაში და რა სახით შეიძლება დაეხმარონ თავად სკოლის სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას. ამისთვის აუცილებელია მშობელთა კარგი ინფორმირებულობა, თუნდაც მედიის საშუალებით, პოპულარიზაცია პუბლიკაციებით, და ა.შ. მე მაქვს დიდი მოლოდინი და ვთხოვდი ახალ მინისტრს, რომ საგანმანათლებლო პერიოდიკა განვითარდეს საქართველოში. უნდა გამოდიოდეს საგანმანათლებლო გაზეთები, ჟურნალები, როცა ქვეყანაში რეფორმა მიდის, ზოგჯერ ხარვეზით,ზოგჯერ წარმატებით, აუცილებელია სადმე ამის განხილვა მოხდეს. ეს ხდება ჟამითიჟამად, ბუნებრივია, ეს არ არის საკმარისი. მეტი სისტემატურობით უნდა ხდებოდეს საჯაროდ ამის განხილვა და შეფასება საზოგადოების მხრიდან – სად ვართ, რა მანძილი გავიარეთ, განვითარების რა ეტაპზე ვართ, ვინ როგორ იმუშავა – მაჯაზე მუდმივად უნდა გვედოს ხელი.

ძალიან კარგია, რომ კანონით დადგინდება, რა მოთხოვნები უნდა წაუყენონ სკოლის ხელმძღვანელებს, მაგრამ იმაზეც უნდა ვიფიქროთ, რომ სკოლის ხელმძღვანელების მომზადების სისტემის შექმნაა საჭირო. პროგრამაში ნათქვამია, რომ სკოლის დირექტორს პედაგოგიური საბჭო აირჩევს, ცხადია, აქ გარკვეული ლოგიკაა, მაგრამ არ ჩანს მთავარი დამკვეთი – მშობელი. ხანდახან ამას ძალიან ფაქიზი მოპყრობა სჭირდება. სამწუხაროდ, ყოფილა შემთხვევა და არა ერთი და ორი, რომ პედაგოგები ირჩევენ ისეთ ხელმძღვანელს, რომელიც უფრო კომფორტული იქნება მათთვის. ეს კომფორტი ასეა აღქმული – ის იქნება ნაკლებად მომთხოვნი. ამით, მე პედაგოგის სტატუსს კი არ ვაკნინებ, პირიქით, ძალიან დიდ პატივს ვცემ პედაგოგს, მაგრამ აუცილებელია დირექტორის არჩევისას რაღაცნაირად აისახოს მთავარი დამკვეთის – მშობლის აზრიც. თუ სამინისტრო არ აფასებს და ათავისუფლებს თავის თავს სკოლის დირექტორის დანიშვნის ან განთავისუფლებისაგან, ვინ უნდა შეაფასოს კარგად მუშაობს თუ არა სკოლის ხელმძღვანელი? მასწავლებელმა? ეს დაახლოებით ასე გამოიყურება – რაღაც ინსტიტუციას მივანიჭოთ უფლებამოსილება, რომ თვითონ შეაფასოს თავისივე გაკეთებული საქმე. სწორედ ამიტომ არის მშობლის მეტი ჩართულობა

აქტუალური თემა

საჭირო სასკოლო ცხოვრებაში. მაშინ რატომ ვმიჯნავთ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს სამინისტროსგან, ან ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრს – იმიტომ, რომ სამინისტრო აკეთებს და თვითონ არ უნდა შეაფასოს თავისი თავი – ეს, ბუნებრივია, სწორი მიდგომაა.

ბრენდირება გაუქმდებაო, ნათქვამია. შეიძლება გაუქმდეს ბრენდირება, მაგრამ სკოლების შემფასებელი რაღაც სისტემა უნდა არსებობდეს. ხშირად გვესმის კითხვა, რომელია კარგი სკოლა – ვინ გასცემს ამ კითხვაზე პასუხს? აუცილებლად უნდა ხდებოდეს სკოლების მუშაობის შეფასება – ვინ მუშაობს კარგად და ვინ ცუდად. სასურველია, რაღაც პრინციპებზე და კრიტერიუმებზე დაყრდნობით მოხდეს ეს შეფასება და საზოგადოებამ იოლად შეძლოს ამ კითხვაზე პასუხის პოვნა.

რაც შეეხება სკოლების დამოუკიდებლობას – დამოუკიდებლობის ხარისხს ზღუდავს ან კანონი ან ზემდგომი ორგანო. ვისურვებდი, რომ გადავხედოთ განათლების კანონს იმ თვალსაზრისით, რომ შეიცვალოს დირექტორის უფლებამოსილება. დირექტორს, დღევანდელი მდგომარეობით, არა აქვს უფლება შეაფასოს თავისი მასწავლებლები – მაგალითად, მე არა მაქვს უფლება, ვთქვა, კონკრეტულად ესა თუ ის მასწავლებელი ვერ უპასუხებს იმ მოთხოვნებს, რომელსაც დღევანდელი სკოლა უყენებს და გავუშვა სკოლიდან. როცა სახელმწიფო სკოლის დირექტორს ამდენ ბავშვს ანდობ, მასწავლებლის შეფასება არ უნდა ანდო? მშობელს აქვს უფლება, მასწავლებლის კომპეტენციის საკითხი დააყენოს და მე, როგორც დირექტორს, ლამის არ მაქვს ამის უფლება. თავისთავად, დეცენტრალიზაცია თუ ცენტრალიზაცია არც პანაცეაა და არც დაღუპვა. საფრანგეთში უკიდურესად ცენტრალიზებული განათლების სისტემაა, მასწავლებელს ნიშნავს განათლების მინისტრი, ამის გამო, შეიძლება ვთქვათ, რომ ფრანგული განათლების სისტემა არ ვარგა? სისტემა იმდენად მთავარი არ არის, რამდენადაც მისი მოქმედება – თუ როგორ არის მისადაგებული ამ ქვეყნის ტრადიციასთან, მის მენტალობასთან. წლების განმავლობაში, დეცენტრალიზებული სისტემა იყო ინგლისში და მარგარეტ ტეტჩერამდე ერთიანი ეროვნული სასწავლო გეგმაც არ არსებობდა, კიდევ მეტი თავისუფლებაა აშშ-ში. ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ სამყაროში არ არსებობს აბსოლუტური, ყველაფრის გამმართლებელი სქემა, ყველა ქვეყანას უნდა ჰქონდეს თავის თავზე, ისტორიაზე, კონკრეტულ მიზნებზე მორგებული სისტემა და კანონმდებლობა.

დამოუკიდებლობას მესამე მომენტიც აქვს: როგორც გითხარით, დამოუკიდებლობას ზღუდავს ან კანონი, ან ზემდგომი ორგანო და ყველაზე მეტად ის, თუ თავად არ ხარ თავისუფალი. საკუთარ თავში უნდა მოძებნოს ბევრმა ეს მიზეზი. ძალიან ბევრი ახლა იწყებს საუბარს იმაზე, თუ როგორი შეზღუდული იყო. ერთი და ორი ადამიანის მაგალითი მოსატანი არ არისო, უთქვამთ ჩემთვის, მაგრამ მე არავითარი შეზღუდვა არ მიგრძვნია. ვინც იმას უშვებს, რომ მანდატურები აკონტროლებდნენ დირექტორებს, ის მართლაც გასაკონტროლებელი ყოფილა. რასაკვირველია, აბსოლუტურად თავისუფალი ადამიანი ძნელი მოსაძებნია, რაღაც კონიუნქტურას თვალს მოუხუჭავ, მაგრამ ეს არ უნდა იყოს დაკავშირებული ფუნდამენტურ ღირებულებებთან.

კიდევ სხვა უამრავი საკითხია, რომელზეც შეიძლება ყურადღების გამახვილება, მაგრამ ამჯერად შეიძლება ამით შემოვიფარგლო.

გამოკითხვა

მაკა ყიფიანი

რაჭა ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი რეგიონია თავისი განუმეორებელი ბუნებით, განთქმული ღვინოებით, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტით, მდიდარი წიაღისეულით და მინერალური წყლებით და, რაც მთავარია, თავისი ხალხით, ფოლკლორითა და ტრადიციებით. თუმცა, გასული წლების კატაკლიზმებმა, მეტად დააზარალა ადგილობრივი ეკონომიკა, ხელი შეუწყო მიგრაციას და გააჩანაგა ინფრასტრუქტურა. რაჭის მაღალმთიანი სოფლები მოსახლეობისაგან ყოველწლიურად იცლება, სოფელს თითო-ოროლა ბავშვის ამარა დარჩენილი სკოლა ამაგრებს და ალბათ ესეც დროებითია.

რა არის აუცილებელი იმისთვის, რომ შეჩერდეს დეპოპულაცია? მოსახლეობის აზრით, რაჭაში უკეთესი საცხოვრებელი გარემოს შექმნა, განვითარებული ინფრასტრუქტურა, მოქალაქის სიცოცხლისა და ქონების უსაფრთხოება, დასაქმება და შემოსავლების ზრდა მიგრაციის შეჩერების ერთადერთი საშუალებაა.

ჩვენ მიერ რაჭის, კერძოდ, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფლის სკოლებში ჩატარებული გამოკითხვისას, ერთმა მოსწავლემ მითხრა: „თქვენ, ალბათ, ვერც კი წარმოიდგენთ რა საშინელებაა ისწავლო თანაკლასელების გარეშე“.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში სულ 22 სკოლაა. ბოლო წლებში, თითქმის ყველა სკოლას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები. შეძლებისდაგვარად, მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა. თუმცა, ეს საკმარისი არ არის. რაჭველ მოსწავლეებს ბევრი რამ აკლიათ. პრობლემებზე ისინი თავად გვიამბოებენ.

თლუღის საბაზო სკოლა
(დირექტორი – მარინა გოცირიძე)

აკაკი ჭიჭინაძე, II კლასის მოსწავლე:
ჩემი სურვილია, პერსონალური კომპიუტერი მქონდეს, კეთილმოწყობილი საკლასო ოთახი და სპორტული მოედანი, განსაკუთრებით მაგიდის ჩოგბურთი მინდა გვქონდეს სკოლაში.

შალვა კოგახიძე, II კლასის მოსწავლე:
ჩემი სკოლა ძალიან მომწონს, სუფთა საკლასო ოთახები გვაქვს. ძალიან მინდა, სკოლაში სპორტული მოედანი გვქონდეს, სადაც მეგობრებთან ერთად თამაშს შევძლებდი.

გუბაზ ჩიხრაძე, IV კლასის მოსწავლე:
ძალიან მინდა სკოლაში საცურაო აუზი და „მომავლის კლასი“ მქონდეს. ჩემი სკოლა კეთილმოწყობილია, მაგრამ ძალიან ცოტა ბავშვი ვსწავლობთ. ჩემი ყველაზე დიდი სურვილია, მეოთხე კლასში ჩემ გარდა სხვა ბავშვებიც სწავლობდნენ და მარტო არ ვიყო.

თამუნა ჭიჭინაძე, VII კლასის მოსწავლე:
ვისურვებდი, ჩვენი სკოლის ბიბლიოთეკა თანამედროვე საკითხავი ლიტერატურით იყოს სავსე. მინდა, მე და ჩემს მეგობრებს ახალი მერხები და დაფა გვქონდეს საკლასო ოთახში. ძალიან მინდა, ასევე, სკოლამდე მისასვლელი გზა მოპირკეთებული იყოს, წვიმაში ფეხი რომ არ დაგვესვაროს და დაგვისველდეს.

მაია ჭიჭინაძე, VII კლასის მოსწავლე:
წელს ჩვენს სკოლას სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა. ძალიან გამიხარდა, ახალ სასწავლო წელს ახალი, გალამაზებული გარემო რომ დამხვდა. თუმცა, ჯერ კიდევ ძალიან ბევრი რამ არის სკოლაში მოსაწესრიგებელი და გასაკეთებელი. ვისურვებდი, კეთილმოწყობილი სკოლის ეზო, სპორტული მოედანი გვქონდეს.

ჭელიაღელეს საჯარო სკოლა
(დირექტორი – ლალი მესხი)

გიორგი აბუთიძე, IX კლასის მოსწავლე:
ჩემი ყველაზე დიდი სურვილია თანაკლასელები მყავდეს. ვერც კი წარმოიდგენთ, ალბათ, რა საშინელებაა სწავლა კლასელების გარეშე. ჩემი სკოლა ერთ-ერთი უძველესი სკოლაა. სარემონტო სამუშაოები ჩაუტარეს და შესაბამისად გარემოც გაგვილამაზეს. ვისურვებდი, სკოლაში იყოს კეთილმოწყობილი და სპორტული ინვენტარით აღჭურვილი დახურული სპორტული დარბაზი.

ანა ბიბილაშვილი, VII კლასის მოსწავლე:
მართალია, სკოლის შენობა ახლად გარემონტებულია, მაგრამ ძალიან მინდა ახალი საკლასო და სპორტული ინვენტარი გვქონდეს. სასურველია სასკოლო ბიბლიოთეკის კეთილმოწყობა, თანამედროვე მხატვრული ლიტერატურით განახლება და სამკითხველო დარბაზი. სკოლაში კომპიუტერული კაბინეტი გვაქვს, მაგრამ არ არის საკმარისი კომპიუტერები.

მაყვალა ჭელიძე, დაწყებითი კლასების პედაგოგი:
მოგეხესენებათ სოფლის ბავშვები არ არიან განებივრებულები სათანადო კომფორტით. მათ ბევრი რამ აკლიათ და სჭირდებათ. სოფელში დიდი მიგრაციაა, პრობლემებს ქმნის ისიც, რომ არ არის საბავშვო ბაღი. ძველი საბავშვო ბაღის შენობა-ნაგებობა სერიოზულ რეაბილიტაციას მოითხოვს. ჩემი სურვილია, იქნებ ამ პრობლემის მოგვარებაში დაგვეხმარონ.

მანანა აბუთიძე, ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებელი:
სკოლის ყველაზე დიდი პრობლემაა საგნობრივი თვალსაჩინოებების არქონა. ქიმიის გაკვეთილზე ცდების ჩატარებისთვის არანაირი ლაბორატორიული ხელსაწყო არ გაგვაჩნია. ფიზიკის და ბიოლოგიის კაბინეტებისათვის არ გვაქვს შესაბამისი თვალსაჩინოება.

ხოტევის საბაზო სკოლა
(დირექტორი – თეთნულდი ენუქიძე)

თეთნულდი ენუქიძე:
ხოტევის საჯარო სკოლა 200 მოსწავლეზეა გათვლილი, თუმცა, ამჟამად სკოლაში 4 მოსწავლე სწავლობს. სამწუხაროდ, წელს არ გვაქვს დაწყებითი კლასები. მეხუთე და მერვე კლასებში თითო ბავშვი სწავლობს, მეცხრე კლასში კი – 2.

მეორე კლასში ორი მოსწავლე გვყავდა, რომლებიც სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან იყვნენ და ამბროლაურში, ბავშვთა თავშესაფარში გადაიყვანეს.

ადგილობრივი გამგეობის დახმარებით, სკოლას სათანადო სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა. მოსწავლეებისთვის საკმარისი ინვენტარი და 1 კომპიუტერი გვაქვს. სკოლაში არის დახურული სპორტული დარბაზი და ღია მოედანი, თუმცა, სპორტული ინვენტარის ნაკლებობა გვაქვს. ჩვენი ყველაზე დიდი პრობლემა მოსწავლეთა სიმცირეა. სკოლის 4 მოსწავლიდან 3 სოციალურად დაუცველია, მათ უფასოდ გადავეცით სასკოლო სახელმძღვანელოები. მასწავლებლები ძალ-ღონეს არ იშურებენ ოთხი მოსწავლის სწავლა-განათლებისთვის. მხოლოდ ისინი ამაგრებენ თითქმის მთლიანად დაცლილ სოფელს. გაისად, თუ სკოლაში შემომსვლელი არ გვეყოლა, სკოლას დახურვა ემუქრება.

სადმელის საჯარო სკოლა
(დირექტორი – მედეა რატიანი)

ქრისტინე სურგულაძე, XII კლასის მოსწავლე:
ჩემი სურვილია, სკოლაში უფრო მეტი თანამედროვე ლიტერატურით აღჭურვილი ბიბლიოთეკა გვქონდეს. სკოლაში ყველა პირობაა შექმნილი ხარისხიანი განათლების მისაღებად. გვყავს ძალიან კარგი პედაგოგები, სათანადოდ მოწყობილი კლას-კაბინეტები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერები. რაც შეეხება სასკოლო ინვენტარს, საკმარისიც გვაქვს და თანამედროვეც. სასურველი იქნებოდა ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტებისთვის საჭირო თვალსაჩინოება და ხელსაწყოები გვქონოდა.

რატი გურგენიძე, XI კლასის მოსწავლე:
ჩემი სკოლა ძალიან მომწონს. ყველაფერი, რაც გვაქვს, თითქმის საკმარისია, მაგრამ ვისურვებდი დახურული სპორტული დარბაზიც გვქონოდა, სათანადო სპორტული ინვენტარით აღჭურვილი. მართალია, დიდი ღია სპორტული მოედანი გვაქვს, მაგრამ რაჭის პირობებში, მოგეხსენებათ, ზამთარში და ცუდ ამინდში მისი გამოყენება შეუძლებელი ხდება.

ანა პაპუაშვილი, X კლასის მოსწავლე:
სკოლაში სასკოლო ბიბლიოთეკა გვაქვს, მაგრამ განახლებას საჭიროებს. სკოლისთვის აუცილებლობას წარმოადგენს კარგი ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზი. ჩემი სურვილია, გვქონდეს ელექტრონული ბიბლიოთეკა, ხელმისაწვდომი და შეუზღუდავი ინტერნეტი.

ზურა დარახველიძე, X კლასის მოსწავლე:
სკოლაში ყველაზე მეტად სპორტული დარბაზი მინდა გვქონდეს, რათა შეუფერხებლად ჩატარდეს სპორტის გაკვეთილები. ასევე, ძალიან მინდა ქიმიის და ფიზიკის ლაბორატორიებში იყოს ცდების ჩასატარებელი ხელსაწყოები, რაც მეტ სტიმულს მომცემს საგნის უკეთ დაუფლებისთვის.

ჩორჯოს საბაზო სკოლა
(დირექტორი – კანელი კენჭაძე)

ნუკრი ვაწაძე, VII კლასის მოსწავლე:
ჩვენს სკოლას ძალიან პატარა ეზო აქვს, ამიტომ არ აქვს არც ღია და არც დახურული სპორტული დარბაზი. ეს ძალიან დიდი პრობლემაა. სხვამხრივ სკოლა მოწესრიგებულია, ახლად გარემონტებულია და ჩვენთვის, მოსწავლეებისთვის სუფთა, ლამაზი და კეთილმოწყობილი გარემოა შექმნილი. გვაქვს კომპიუტერული ტექნიკა, კარგი ბიბლიოთეკა, თუმცა ვისურვებდი ბიბლიოთეკის თანამედროვე ლიტერატურით შევსებას. სასკოლო თვალსაჩინოება საკმაოდ მოძველებულია და განახლებას საჭიროებს.

ხვანჭკარის საჯარო სკოლა
(დირექტორი – ნინო ჯოხაძე)

ნინო ჯოხაძე:
ჩვენი სკოლა რეაბილიტირებულია, აღჭურვილია საკმარისი და თანამედროვე სასკოლო ინვენტარით. სასურველია და ვფიქრობ აუცილებელი, გვქონდეს ქიმიისა და ფიზიკის სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორიები.

სკოლას აქვს რეაბილიტირებული სპორტული დარბაზი, თუმცა სპორტული ინვენტარი ძალიან მწირია.

სკოლაში 46 მოსწავლე სწავლობს. მცირეკონტინგენტიანი სკოლებისთვის ძალიან დიდი პრობლემაა კლასკომპლექტები. მუსიკის, ხელოვნების, სპორტის გაკვეთილების დაჯგუფებამ საათების შემცირება გამოიწვია. შარშან სკოლიდან ერთი პედაგოგის გაშვება მოგვიხდა იმის გამო, რომ მხოლოდ ხუთი საათი ჰქონდა და არ შეიძლებოდა ესწავლებინა. მსგავსი პრობლემა ალბათ ყველა მცირეკონტინგენტიან სკოლაში დგას. ჩვენი თხოვნაა, იქნება ეს საკითხი გადაიხედოს. თუკი მასწავლებელს ექნება მცირე საათებზე მუშაობის სურვილი, იქნებ მივცეთ მას სკოლაში დარჩენის უფლება.

გიორგი ტყეშელაშვილი, X კლასის მოსწავლე:
ჩვენი სკოლა კეთილმოწყობილია, გვაქვს კარგი სპორტული მოედანიც, თუმცა, სპორტული ინვენტარის ნაკლებობა გვაქვს. ძალიან მინდა, ასევე, ქიმიისა და ფიზიკის კლას-კაბინეტები კეთილმოწყობილი იყოს და სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორიები გვქონდეს. ძალიან მაინტერესებს ცდების ჩატარების პროცესი.

ლიკა ჯანგიძე, X კლასის მოსწავლე:
ჩვენს სკოლაში ხარისხიანი განათლების მისაღებად ყველა პირობაა შექმნილი. ის, რაც ამ ეტაპზე სკოლაში გვაკლია, სასკოლო ბუფეტია. თითქმის ნახევარ დღეს ვატარებთ სკოლაში, განსაკუთრებით შორიდან მოსული მოსწავლეებისთვის აუცილებელია ამ პრობლემის მოგვარება. სხვა დანარჩენი წვრილ-წვრილი პრობლემების გადასაჭრელად ჩვენი მასწავლებლები ძალ-ღონეს არ იშურებენ.

სოფლის სკოლა

ისტორიული სოფლების სასკოლო ქრონიკები

ანა ფირცხალაიშვილი

ბოგვის საჯარო სკოლა

დღეისათვის, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში 28 საჯარო სკოლა ფუნქციონირებს – 10 საბაზო, 18 საშუალო, 4 ადმინისტრაციულად დაქვემდებარებული დაწყებითი საფეხურის. მანგლისის საჯარო სკოლას ნაპილნარის აზერბაიჯანული სკოლა მიუერთდა, სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობს; სამღერეთს – შახილის აზერბაიჯანული სკოლა, სადაც ქართული, როგორც მეორე მშობლიური ენა ისე ისწავლება. დაწყებითი საფეხურის დასრულების შემდეგ პატარები სწავლას სამღერეთის ქართულ სკოლაში აგრძელებენ. როგორც თეთრიწყაროს რესურსცენტრის უფროსი **ზეინაბ აბულაძე** ამბობს აზერბაიჯანელი ბავშვები ისე კარგად ეუფლებიან სახელმწიფო ენას, რომ შემდეგ ქართულ სკოლაში სწავლის გაგრძელება აღარ უჭირთ. *„განწყობაც უკვე სხვაგვარია. მშობლები თავად ითხოვენ, ქართულ სკოლაში ისწავლონ მათმა შვილებმა. სურთ ოფიციალურად მიმართონ ამის შესახებ განათლების სამინისტროს. იმედი გვაქვს, თანხმობას მიიღებენ“* – გვითხრა ქალბატონმა ზეინაბმა. მისივე თქმით, რაიონში დღეისათვის, დაახლოებით, 600 მასწავლებელი და 3200-მდე მოსწავლეა. სასერტიფიკაციო გამოცდები შარშან 10-მა, ხოლო წელს 24-მა პედაგოგმა ჩააბარა ორივე საგანში, არიან ისეთებიც, ვისაც მხოლოდ ერთი გამოცდა აქვს ჩაბარებული და მეორესთვის ემზადება.

ჩვენი რუბრიკისთვის ასურეთი იმ ნიშნით ავირჩიეთ, რომ ნამდვილად გამორჩეული ბედისა და ისტორიის სოფელია. ერთ დროს საკმაოდ მრავალრიცხოვანი სოფელი, ათასგვარი შემოსევების შედეგად, XVIII საუკუნეში გაუკაცრიელებულა. ახალი სიცოცხლე აქ მას შემდეგ დაიწყო, რაც რუსეთის მეფის, ალექსანდრე პირველის ინიციატივით, 1818 წელს გერმანელები ჩამოასახლეს (როგორც საკუთარი პოლიტიკის ერთგვარი დასაყრდენი) და შეიქმნა გერმანული კოლონია, რომელსაც, მეფის მეუღლის პატივსაცემად „ელიზაბეტტალი“ ეწოდა. ძალიან მალე, უკვე საუკუნის დასასრულს, გერმანელთა შრომისმოყვარეობის წყალობით, ელიზაბეტტალი ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული სოფელი იყო საქართველოში, განსაკუთრებით აღორძინდა მევენახეობა-მეღვინეობა, ამუშავდა ელექტროსადგური, წყალგაყვანილობის სისტემა, კარტოფილის საწარმო, აშენდა აბანო, 1871 წლიდან სოფელს ამშვენებდა გოთური სტილით ნაგები ეკლესია (ამჟამად ეკლესიაში მართლმადიდებლური ხატებია დაბრძანებული); მოქმედებდა სასოფლო კლუბი, რომელიც 200-ზე მეტ ადამიანს იტევდა, გააშენეს „სასეირნო ბაღი“, ააგეს გერმანული არქიტექტურის უნიკალური მარანი, სადაც ქართული ვაზისგან ათასობით ტონა ღვინოს აყენებდნენ. და, რა თქმა უნდა, საგანმანათლებლო კერა – ეკლესიასთან ახლოს ორსართულიანი სკოლის შენობა, დიდი საკლასო ოთახებითა და მრგვალი ფანჯრებით. წლების განმავლობაში ეს იყო გერმანულენოვანი სკოლა, ხოლო 1938 წლიდან – ქართული საშუალო სკოლა. მთელი ამ ხნის განმავლობაში სკოლა და სოფელი ცხოვრობდა და ვითარდებოდა ისე, როგორც დანარჩენი საბჭოთა სოფლები და სკოლები. ასურეთში დამკვიდრებული კოლონისტები თავისუფლად ფლობდნენ ქართულ ენას, ქართველები კი – გერმანულს, იქმნებოდა შერეული ოჯახებიც. ეს კეთილგანწყობილი და მშვიდობიანი თანაცხოვრება 1941 წელს ტრაგიკულად დასრულდა – სტალინის მითითებით, გერმანელებს რამდენიმე საათში დაატოვებინეს საკუთარი სახლ-კარი და შუა აზიის ქვეყნებში გადაასახლეს, უკან დაბრუნების უფლების ჩამორთმევით.

ასურეთის საჯარო სკოლის კომპიუტერული კლასი

ინგლისური ენის მასწავლებელი ბრაიან ჰელერი გაკვეთილზე

ძალიან მოკლედ მოთხრობილი ქართულ-გერმანული საინტერესო და ამავე დროს სევდიანი ისტორია საუკუნეზე მეტ პერიოდს მოიცავს, ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ გერმანელებმა ბევრი სასიკეთო საქმით დაამახსოვრეს თავი ამ მხარეს...

დღევანდელი ასურეთი თავის მკვიდრთაგან სანახევროდ მიტოვებული სოფელია, ისევე როგორც საქართველოს ბევრი სხვა სოფელი. სკოლა ისევ იმ ადგილას, შეფერდებულზე მდებარეობს, ისევ ორსართულიანია, მაგრამ უკვე ძველისგან განსხვავებით, 12 საკლასო ოთახით, ბიბლიოთეკით, IST კაბინეტით და 8 კომპიუტერით, სპორტული დარბაზითა და ხელოვნურსაფარიანი ღია ტიპის მოედნით.

ნაწილობრივი რემონტი 2007-2008 წლებში ჩატარდა. გამოიცვალა ფანჯრები, დამონტაჟდა გათბობის სისტემა. მაგრამ ფასადი და იატაკი ძველი დარჩა. როცა მთავარი გაკეთებულია, ბუნებრივია, ახლა უკვე ყველაფერი ლამაზი და საუკეთესო გინდა იყოს, მით უმეტეს, თუ ამ სკოლის კურსდამთავრებული ხარ და უკვე 8 წელია – დირექტორი. ქალბატონი **ნანა გორდეზიანი** ამბობს, რომ ბევრი რამ შეიცვალა სკოლაში ამ წლებში სასიკეთოდ, მთელი კოლექტივი, როგორც ერთი ოჯახი, მხარში უდგას ერთმანეთს, რომ ყველა სიახლე სწავლის ხარისხის ასამაღლებლად გამოიყენონ; გერმანული ენის, ქართულის, ბიოლოგიის, მათემატიკის პედაგოგებმა ორივე საგანში აიღეს სერტიფიკატი და ხელფასზე დანამატსაც იღებენ, ნაწილს მხოლოდ პროფესიაში აქვს გამოცდა ჩაბარებული და მეორესთვის ემზადება. *„გასული საუკუნის ბოლომდე ეს საკმაოდ მრავალრიცხოვანი სკოლა იყო,* – ამბობს დირექტორი, – *500-მდეც ადიოდა მოსწავლეთა რაოდენობა. ამჟამად მხოლოდ 111 მოსწავლე გვყავს, 10 – პირველკლასელი. შედეგები ცუდი არ გვაქვს – 11 კურსდამთავრებულიდან 6 სტუდენტი გახდა. ჩემი უმთავრესი მოთხოვნა დისციპლინაა და მივაღწიეთ კიდეც იმას, რომ გაცდენები თითქმის არ გვაქვს. ეს აკადემიურ მოსწრებაზეც აისახება. ჩვენთან ძალიან აქტიურია სამოქალაქო განათლების კლუბი, ბევრ სასარგებლო საქმეს აკეთებენ მოსწავლეები სკოლისთვისაც და სოფლისთვისაც, ასევე აქტიურია სკოლის თვითმმართველობა – ბიოლოგიის მასწავლებლის* ***მანანა წულუკიძის*** *ხელმძღვანელობით ახალი პროექტის განხორციელებას აპირებენ – სოფელში გოგირდის წყალი ამოდის, რომელსაც ბევრი მომხმარებელი ჰყავს, იქაურობა კი კეთილმოუწყობელია. ეს პროექტი მისასვლელი ბილიკის გაკეთებასა და სკამების დადგმას ითვალისწინებს; ძალიან საინტერესო და სერიოზული, 2-დღიანი კონფერენცია – „დედამიწა ჩვენი სახლია“ ჩაატარა გეოგრაფიის მასწავლებელმა მედეა წერეთელმა; VII-XII-კლასელებმა მოხსენებები წაიკითხეს; ჩვენი მოსწავლეები ხშირად იმარჯვებენ სარაიონო შემოქმედებით კონკურსებში.*

რაც შეეხება სხვადასხვა სახის თემატურ საღამოებს, მათი ორგანიზატორები ჩვენი მათემატიკისა და კომპიუტერის პედაგოგი ***ნინო ენუქიძე****, მუსიკის მასწავლებელი* ***დარეჯან აღდგომელაშვილი*** *და ფილოლოგი* ***თამარ ტოგონიძე*** *არიან. მინდა, ასევე დავასახელო წარმატებული მოსწავლეები:* ***თინათინ მესხაძე, ქეთი ბაცანაძე, ჯაბა ბაბლიძე, ნანა აფციაური*** *და სხვები, რომლებიც ნამდვილად იმსახურებენ უკეთეს სკოლას, ისეთს, როგორიც ბოგველებს აქვთ. შორს არ არის, აქედან მანქანით 10 წუთის სავალზეა, გირჩევთ, აუცილებლად მოინახულოთ. ვოცნებობ, ასურეთელმა ბავშვებმაც ასეთ სკოლაში ისწავლონ და კიდევ იმაზე, რომ დირექტორის კაბინეტში აღარ ეწყოს სოციალურად დაუცველთათვის განკუთვნილი წიგნები, ყველა ოჯახს თავად ჰქონდეს საკუთარი შვილის ყოველმხრივ უზრუნველყოფის საშუალება“.*

მაშინვე გადავწყვიტე ბოგვში წასვლა. ქალბატონმა ნანამ სულ რამდენიმე წუთში მოაგვარა მანქანის საკითხი. ეს რამდენიმე წუთი კი, **ბრაიან ჰელერის** გასაცნობად გამოვიყენე. ახალგაზრდა ინგლისელი სულ ერთი კვირის ჩამოსულია ასურეთში, რომ I-VI-კლასელებს ინგლისურის სწავლაში დაეხმაროს, ძალიან მოსწონს იქაურობა და დიდად აფასებს კოლეგების მისდამი თბილ დამოკიდებულებას.

* * *

მართალია ქალბატონი ნანა, მართლაც ძალიან ლამაზია, ახლად გარემონტებული ბოგვის სკოლა, ეზოს ორივე მხარეს გაშენებული ნაძვნარით სანახევროდ დაფარულ შენობამდე ფართე მოასფალტებული გზით მიდიხარ. სამსართულიანი შენობის საკლასო ოთახები, კლასკაბინეტები, სპორტული დარბაზი – ყველაფერი ახალი და სუფთაა, დამონტაჟებულია გათბობის სისტემა. *„სასწავლო წლისთვის ყველაფერი მზად იყო, ოღონდ ესაა, არც ერთი საგნის (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) ლაბორატორიული აღჭურვილობა და არც სპორტული ინვენტარი არ გვაქვს“* – გვითხრა ამავე სკოლის კურსდამთავრებულმა, 2005 წლიდან კი დირექტორმა **მარინა მჭედლიშვილმა** და კაბინეტში შეგვიძღვა. აქედანაც არაჩვეულებრივად ლამაზი ხედი იშლება, სკოლის უკანა მხარეც საკმაოდ დიდი ჩანს. იქვე ახლოს ძველი შენობის ნანგრევიც შევამჩნიე... ქალბატონი მარინა ამბობს, რომ დღეისათვის აქ 154 მოსწავლე სწავლობს (2005 წელს 183 იყო), მაგრამ ყველანი ბოგველები არ არიან. სკოლის ავტობუსს ისინი არდისუბნიდან, საღრაშენიდან, ფარცხისიდან, ჩხიკვთადან, ტბისიდან დაჰყავს, ჯორჯიაშვილიდან თავად დადიან ბავშვები. სკოლა უზრუნველყოფილია კომპიუტერებით და ქალბატონ **რუსუდან ჯაშიაშვილის** დამსახურებაცაა, რომ მოსწავლეები ყოველთვის ხალისითა და ინტერესით მოდიან მის გაკვეთილებზე. თუმცა უნდა ითქვას, რომ წარმატებები უფრო საზოგადოებრივ მეცნიერებებში აქვთ – გეოგრაფიაში, ისტორიაში, მაგალითად, XII-კლასელმა **ნაზი პოილარაშვილმა** შარშან რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე III ადგილი აიღო (პედაგოგი – **ფატიმა ნონიაძე**). მართალია, სპორტის პედაგოგი ქალია – **ნაირა ოგბაიძე**, მაგრამ თავისუფლად ახერხებს, რომ ბავშვები სერიოზულად მოეკიდონ სკოლის მიერ არჩეულ სახეობებს – ფრენბურთსა და ფეხბურთს, სისტემატურად მონაწილეობენ ტრადიციულ სკოლბურთში და უმიზეზოდ არასოდეს აცდენენ სპორტის გაკვეთილებს. არც ეროვნულ გამოცდებზე ჰქონდათ ცუდი შედეგი – კურსდამთავრებულთაგან მხოლოდ ცხრამ გაიარა რეგისტრაცია და რვა სტუდენტი გახდა; პედაგოგთა სერტიფიცირების თემა აქაც აქტუალურია – **თამარ ამურველაშვილი, ლალი ჯმუხაძე, ლიანა**

შიხიაშვილი, მზიური ადუაშვილი, ფატიმა ნონიაძე ის პედაგოგები არიან, რომელთაც ორივე საგანში გაიარეს სასერტიფიკაციო გამოცდა, დანარჩენებს მხოლოდ თითო საგანი აქვთ ჩაბარებული.

როცა სკოლის ისტორიით დავინტერესდი, ქალბატონმა მარინამ მირჩია ამ საკითხზე მისი ყოფილი პედაგოგისა და სკოლის ყოფილი დირექტორისთვის, ისტორიკოს თამარ ამურველაშვილისთვის მომესმინა – იგი არა მარტო საუკეთესო პედაგოგია, არამედ სოფლისა და სკოლის მემატიანეცაა. სწორედ ამ დღეებში ვსაუბრობდით მე და თამარ მასწავლებელი ამ თემაზე. მან იმდენი რამ იცის, ვთხოვე, წიგნი დაწეროს სკოლის შესახებ, შევპირდი, ყოველმხრივ მხარში დავუდგები, თუ თავად ვერ გავწვდებით, როგორმე სპონსორსაც ვიშოვი, ოღონდ ამ საქმეს აუცილებლად უნდა მოკიდოს ხელი – მითხრა ქალბატონმა მარინამ.

აი, რას გვიამბობს **თამარ ამურველაშვილი**: *1879 წელს, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას დიდ ენაგეთში (ახლანდელი ჯორჯიაშვილი) ტაძარში გაუხსნია 3-კლასიანი დაწყებითი სკოლა, რომელსაც მღვდელი უძღვებოდა. აქ წერა-კითხვასთან ერთად საღვთო სჯულსა და მათემატიკას ასწავლიდნენ. იმ დროს, და კარგა ხნის განმავლობაში, ეს ერთადერთი სასწავლებელი იყო მთელ ქვემო ქართლში, დიდი იყო სკოლისადმი ინტერესიც, სწრაფად იზრდებოდა მოსწავლეთა რაოდენობა და სკოლა 7-წლიანად გადაკეთდა. ეს უკვე XX საუკუნის 30-იანი წლებია. სხვადასხვა სოფლებიდან და რაიონებიდან ჩამოსულებისთვის სწავლის და ცხოვრების საშუალება რომ მიეცათ, შენობას II სართული დააშენეს, სადაც საძილე ოთახები მოაწყვეს, მაგრამ ძალიან მალე, როცა მოსწავლეთა რაოდენობამ 200-ს გადააჭარბა, ახალი შენობის საკითხი დადგა დღის წესრიგში და სკოლამ ადგილობრივი ბატონის,* ***ივანე კერესელიძის*** *ორსართულიანი სახლის ნაწილი იქირავა (სწორედ ამ სახლის ნანგრევები ჩანს დირექტორის კაბინეტიდან). 1934 წლიდან 400-ზე მეტი მოსწავლე ირიცხებოდა ბოგვის სკოლაში, რომელსაც საშუალო სკოლის სტატუსი მიენიჭა. ბუნებრივია, მაშინ ძნელი იყო საჭირო რაოდენობის პედაგოგების პოვნა, ამიტომ წარჩინებით კურსდამთავარებულები თავად რჩებოდნენ დაწყებითი კლასების პედაგოგებად. 40-იანი წლების დასაწყისში სოფელ ჯორჯიაშვილში დაიწყო ახალი სკოლის მშენებლობა, მაგრამ ომის გამო შეჩერდა და აღარც გაგრძელებულა. სხვათა შორის, ბოგვის სკოლის ყველა კურსდამთავრებული, თითქმის ყველა ფრიადოსანი, მოხალისედ წავიდა ფრონტზე და სამწუხაროდ, არც ერთი არ დაბრუნებულა. აი, ასეთია მოკლე ისტორია ჩვენი სკოლის, რომელმაც არაერთი სასახელო ადამიანი აღუზარდა ქვეყანას, რომელსაც იმდროისათვის გამორჩეული ადამიანები:* ***არჩილ დალაქიშვილი, ვალერიან გოცირიძე, გრიგოლ ღვინიანიძე, ვახტანგ ტყეშელაშვილი, ლუბა ხუციშვილი, შოთა მიდელაშვილი, ამალია ალთუნაშვილი, ვაჟა ბეგიაშვილი****, მე – თამარ ამურველაშვილი და ბოლოს ჩემი მოსწავლე მარინა მჭედლიშვილი უძღვებოდნენ.*

ახლა, რაც პირველ რიგში მოსაგვარებელია, ესაა ლაბორატორიების სათანადო აღჭურვილობით დაკომპლექტება. ამაში, ალბათ, სამინისტრო დაეხმარება ბოგვის სკოლას; ნამდვილად სასურველია წიგნის გამოცემა, ხოლო რაც შეეხება 90-იან წლებში დანგრეული და გაძარცული კერესელიძეების საცხოვრებელი სახლის აღდგენასა და იქ მუზეუმის მოწყობას, ეს არა მარტო სოფლის, მთელი ქვეყნის ღირსების საქმეა. და თუ სკოლა ითავებს ინიციატივას, იმედია. დახმარების მსურველებიც გამოჩნდებიან.

კულტურული მემკვიდრეობა

გაიგე მეტი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ

2003 წელს გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციამ (unesco), გენერალური კონფერენციის 32-ე სესიაზე მიიღო „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის“ კონვენცია. კონვენციის მიზანია ცოცხალი, ზეპირი ტრადიციის გადარჩენის გზით მსოფლიოს კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნება. დღეისათვის მსოფლიოს 140-ზე მეტი ქვეყანა მიერთებულია აღნიშნულ კონვენციას და აქტიურად თანამშრომლობს ამ საერთაშორისო ველში.

კონვენციის მიღებას წინ უძღოდა 2001 წლის 18 მაისს, მსოფლიოს 19 უმნიშვნელოვანეს ნიმუშს შორის, კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ხელთუქმნელ შედევრად ქართული ტრადიციული მრავალხმიანობის გამოცხადება.

2007 წელს საქართველო მიუერთდა აღნიშნულ კონვენციას. რაც გულისხმობს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით, მის იდენტიფიკაციას, დოკუმენტირებას, კვლევას, შენახვას, დაცვას, პოპულარიზაციას, უმთავრესად ფორმალური და არაფორმალური განათლების მეშვეობით ახალგაზრდა თაობისათვის მის გადაცემას, აგრეთვე არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სხვადასხვა ასპექტის აღორძინებას.

კონვენციის თანახმად, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ორ – ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ხორციელდება. ეროვნულ დონეზე, კონვენციის წევრი ქვეყანა ზრუნავს მის ტერიტორიაზე არსებულ არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობაზე, რისთვისაც ახორციელებს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შემადგენელი ელემენტების იდენტიფიცირებას; უზრუნველყოფს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების, ინსტიტუციების, არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში. ადგენს და პერიოდულად ანახლებს ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ერთ ან რამდენიმე ჩამონათვალს; უზრუნველყოფს საზოგადოების (განსაკუთრებით სამეცნიერო წრეების, აგრეთვე სოფლის, თემის, რაიონის) აქტიურ ჩართულობას დარგის განვითარების სახელმწიფო პროგრამაში. ზრუნავს საფრთხის წინაშე არსებული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი ელემენტების სამეცნიერო კვლევასა და საგანმანათლებლო პროცესებში ჩართვისათვის. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გახლდათ 2011 წლის მიწურულს, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის სააღრიცხვო დოკუმენტაციასა და რეესტრის შევსების წესის შემუშავება და ამოქმედება.

საერთაშორისო დონეზე, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით, იუნესკოს შესაბამისი კომიტეტი, წევრსახელმწიფოებთან მჭიდრო კონსულტაციების გზით ადგენს, აახლებს და აქვეყნებს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის რეპრეზენტაციულ, ანუ წარმომადგენლობით ნუსხას. აგრეთვე, იმ მემკვიდრეობის ნუსხას, რომელიც იმყოფება საფრთხის ქვეშ და საჭიროებს სასწრაფო, გადაუდებელ დახმარებას. სახელმწიფოსთან ერთად შეიმუშავებს და აფინანსებს დაცვისათვის საჭირო პროგრამებს, პროექტებს, ღონისძიებებს; უზრუნველყოფს ლოკალური, საინტერესო გამოცდილების პოპულარიზაციას; თანამშრომლობს ინფორმაციის გაცვლის, დახმარების მექანიზმების, რეკომენდაციების შემუშავებაში, სამართლებრივი ნორმებისა და ჩარჩოების ფორმირებაში.

2012 წლის მარტში, კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულმა სააგენტომ, არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით, აგრეთვე სხვა სახელმწიფო ორგანიზაციების მხარდაჭერით, იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში ნომინირებისათვის მოამზადა და წარადგინა „ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი, ქართული ტრადიციული მეთოდი“.

რა არის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა?

კულტურა, როგორც სოციალური მოვლენა, ადამიანებს მათივე შექმნილი ღირებულებების საშუალებით აერთიანებს. საზოგადოებაში ასეთი ერთობის განსხვავებული ფორმებია დამკვიდრებული. მათ შორის თემი, სოფელი, ქუჩა, ეზო, ოჯახი, დასახლება, ქალაქის გარეუბანი და სხვა. ეს არის ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ერთად ცხოვრობს გარკვეულ ტერიტორიაზე და იზიარებს სხვადასხვა სახის სოციალურ-კულტურულ პრობლემებს, ეწევა რაიმე სამეურნეო ან სხვა საქმიანობას, ერთად ატარებს თავისუფალ დროს, ურთიერთზემოქმედებს, აყალიბებს იდენტურ მსოფლმხედველობით ორიენტირებს, ყოფით და სულიერ კულტურულ ფასეულობებს, ტრადიციებს.

ადამიანის მიერ დამზადებული საგნები, ნივთები, ნაგებობები შენობები და ა.შ. მატერიალური კულტურის ნაწილია, ხოლო მცნება „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა“ ახალი და ცოტა უჩვეულოცაა. მატერიალურისაგან განსხვავებით, განეკუთვნება ადამიანის სულიერი მოღვაწეობის სფეროს და მოიცავს ასეთი მოღვაწეობის შედეგად შექმნილ არტეფაქტებს (ენა, დიალექტი, სიმღერა, ცეკვა, რიტუალი და სხვ.), საკუთრივ მოღვაწეობის ტრადიციას (წინაპრების მიერ ზეპირად გადმოცემული სხვადასხვა ტექნოლოგიები) და მეთოდოლოგიას.

კონვენციაში მოცემულია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კონკრეტული განმარტება, რომლის მიხედვითაც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა არის საზოგადოების, ცალკეული ჯგუფებისა და ზოგიერთ შემთხვევაში კერძო პირების მიერ მათი კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად აღიარებული ადათ-წესები, წარმოდგენისა და გამოსახვის ფორმები, ცოდნა და ჩვევები – ასევე მათთან დაკავშირებული ინსტრუმენტები, საგნები, არტეფაქტები და კულტურული სივრცეები.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სფეროებია:

♦ ზეპირი ტრადიციები და გამოხატვის ფორმები (ენა, დიალექტი, საუბრის სახეობა, ლეგენდა, იგავი, ზეპირი გადმოცემა, თქმულება, ზღაპარი, ლექსი, შაირი, შელოცვა, დატირება, ეპიტაფია, ზეპირსიტყვიერებასთან დაკავშირებული სხვა კულტურული მემკვიდრეობა და ა.შ.);

♦ საშემსრულებლო ხელოვნება (სასცენო ხელოვნება, პანტომიმა, ქორეოგრაფია, ცეკვა, სიმღერა, საგალობელი, საკრავიერი მუსიკა, სახიობა, საშემსრულებლო ხელოვნებასთან დაკავშირებული სხვა ნიმუშები და ა.შ.);

♦ საზოგადოებრივი პრაქტიკები (ყოფითი ტრადიცია, თემის დამახასიათებელი ცხოვრების წესი, თემის ტრადიციული კანონები, მისალმების და დამშვიდობების ფორმები, რელიგიური ტრადიციები, რიტუალები: დაბადება, გარდაცვალება, ძეობა, ინიციაცია, ქორწინება და ა.შ.; კარნავალი, თამაშობა, დღეობა, დღესასწაული; გასტრონომია: ტრადიციული კერძების, პურის, ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების დამზადების ტექნოლოგიები; აგრეთვე ნაციონალური კოსტიუმი და მისი გამოყენების ტრადიცია, ტექსტილის დამუშავების ტექნოლოგია, ვარცხნილობა, სამკაული, ტრადიციული მიწათსარგებლობის ფორმები, სპირიტუალური ადგილები და ა.შ.);

♦ გარესამყაროსთან დაკავშირებული გამოცდილება (ბუნებრივი რესურსების მოპოვება-გამოყენება, ხის, ყავრის დამზადება-დამუშავება, მონადირეობა-მეთევზეობის ადათ-წესები, სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგები, ხალხური მედიცინა, ბუნების მოვლენებთან დაკავშირებული ადათ-წესები და ა.შ.);

♦ ხელოსნობის დარგები და ტექნიკები (ხალხური რეწვა: თექა, მეტალი, თიხა, ფარდაგი, ოქრომჭედლობა, მინანქარი, ხატწერა, კალიგრაფია, ქარგვა, კერვა, ქვის დამუშავება, ინსტრუმენტების დამზადების ტექნოლოგიები და ა.შ).

არამატერიალური კულტურა დაუნჯებულია ხალხში გავრცელებული ადათ-წესების, ჩვეულებების, ზეპირი გადმოცემის, სიმღერის, თამაშობისა და სხვა სახით. ასევე, დოკუმენტირებულია კერძო და სახელმწიფო არქივებში, მუზეუმებში, სამეცნიერო და კვლევით ინსტიტუტებში, სასწავლო დაწესებულებებში.

თაობიდან თაობას გადაცემული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა გამუდმებით, ხელახლა იქმნება. თემების, ჯგუფების მიერ გარემო პირობების, ბუნების ზემოქმედებისა და მათი ისტორიის შესაბამისად, აყალიბებს იდენტობისა და მემკვიდრეობითობის გრძნობას, ხელს უწყობს კულტურის მრავალფეროვნებასა და ადამიანთა შემოქმედებას. კონვენციის თანახმად, ასეთი მემკვიდრეობის დაცვისათვის საერთაშორისოდ აღიარებული მიზნებია: გაერთიანებების, ჯგუფებისა და ცალკეული პირების არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემა; მისი მნიშვნელობის ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ურთიერთაღიარება.

არამატერიალური კულტურა ადამიანისგან განყენებულად, შემოქმედის გარეშე არ არსებობს, ამიტომაც მის მატარებლად ითვლება ერი, საზოგადოება, თემი, ადამიანთა ჯგუფი, ცალკეული პიროვნება. **არამატერიალური კულტურა მისი მატარებლისათვის წარმოადგენს იდენტობის განმსაზღვრელს !**

ამასთან, არამატერიალურ კულტურას რამდენიმე სპეციფიკური მახასიათებელი აქვს. კერძოდ: ის განახლებადია, ზეპირი ფორმით (ოჯახში, თემში, საზოგადოებაში, უშუალოდ) გადაეცემა თაობიდან თაობას, ყოველ ახალ ჯერზე კვლავწარმოებადია და შემოქმედებითია.

საერთაშორისო კონვენცია კატეგორიულად დაუშვებლად მიიჩნევს: არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობის გამოხატვასთან დაკავშირებით კონტექსტისა და ბუნებრივობის (ავთენტურობის) მოშლას; პროცესში ჩართული, ან განსხვავებული კულტურის თემების, ჯგუფების, ინდივიდების ღირსების შელახვას; რაიმე ნიშნით, მათ შორის: პოლიტიკურ, სოციალურ, ეთნიკურ, რელიგიურ ან გენდერულ დისკრიმინაციას; თემების, ჯგუფების და ინდივიდების ცოდნისა და უნარების მითვისებისა და შეურაცხყოფის ხელშეწყობას; ზედმეტ კომერციალიზაციას. ეს უკანასკნელი ნიშნავს სახელმწიფოს დაცვის ქვეშ მყოფი ელემენტის ისეთ კომერციულ აქტივობას, რომელიც აუფასურებს ელემენტის მნიშვნელობას, ან გადააქცევს მას ატრაქციონად.

საქართველო ამაყობს თავისი კულტურული მემკვიდრეობით, რომლის ერთ, უმდიდრეს და მრავალფეროვან ნაწილს, სწორედ არამატერიალური კულტურა წარმოადგენს.

მისი გაფრთხილება და მომავალი თაობისათვის გადაცემა ჩვენი საერთო საქმეა!

* * *

ამიტომაც გადავწყვიტეთ, ახალგაზრდებში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის მიზნით, გაზეთ „ახალ განათლებასთან“ ერთად, გამოვაცხადოთ კონკურსი. გვინდა ვთხოვოთ სკოლის პედაგოგებს, აქტიურად ჩართონ თავიანთი მოსწავლეები ამ პროცესში, დაგვერწმუნეთ, კონკურსის პირობების შესრულებისას ბევრ საინტერესო სიახლეს შეიტყობენ საკუთარი ტრადიციების და, ზოგადად, კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. არ არის გამორიცხული მათ ეს ცოდნა მომავალში პრაქტიკული მიზნებისთვისაც გამოიყენონ.

გაზეთის მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კონკურსის პირობებს.

მაკა თაქთაქიშვილი
საქართველოს კულტურული
მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს,
იუნესკოსა და საერთაშორისო ურთიერთობების
სამსახურის კონსულტანტი

ინფორმაცია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი აცხადებს

სერტიფიცირებული მასწავლებლების სქემაში ჩართვის რეგისტრაციას, მიმდინარე წლის 9 ოქტომბრიდან 5 ნოემბრის ჩათვლით.

დარეგისტრირება შესაძლებელია, საქართველოს მასშტაბით, ნებისმიერ საგანმანათლებლო რესურსცენტრში, სადაც სქემაში ჩართვის მსურველებმა უნდა წარადგინონ ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა, თუ რა აქტივობებს განახორციელებს მასწავლებელი სერტიფიკატის მოქმედების ვადის შესაბამისად და სქემაში ჩართვის განაცხადი (იხილეთ – WWW. TPDC.GE).

სქემაში ჩართვა მხოლოდ სერტიფიცირებულ პედაგოგებს შეუძლიათ და გარკვეული კრედიტების დაგროვების შემდეგ მათ სხვადასხვა სტატუსი ენიჭებათ:

- სერტიფიცირებული მასწავლებელი;
- პირველი კატეგორიის მასწავლებელი;
- უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი.

სერტიფიცირებულ პედაგოგს მომდევნო კატეგორიის მინიჭებისას ავტომატურად 8 წლით განუახლდება სერტიფიკატი და სასერტიფიკაციო გამოცდების ჩაბარება აღარ მოუწევს.

საინფორმაციო შეხვედრა სკოლის დირექტორებთან და მასწავლებლებთან

საჯარო სკოლის დირექტორებსა და პედაგოგებს მასწავლებლის სახლში თბილისის გოეთეს ინსტიტუტის და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური წარმომადგენლები შეხვდნენ და მათთან ერთად გერმანული ენის სწავლების პერსპექტივები განიხილეს. გერმანელმა სპეციალისტებმა მასწავლებლების კითხვებს უპასუხეს და ინფორმაცია მიაწოდეს თბილისის გოეთეს ინსტიტუტისა და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) მუშაობის შესახებ. ღონისძიებას იმ სკოლების წამომადგენლები ესწრებოდნენ, სადაც გერმანული ენა მეორე უცხო ენად ისწავლება. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ცენტრის ხელმძღვანელი გია მამულაშვილი და გერმანული ენისა და ლიტერატურის კონსულტანტი ერეკლე ჩიგოგიძე.

პედაგოგებისა და გერმანელი სპეციალისტების შეხვედრა თბილისის გოეთეს ინსტიტუტთან და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურთან (DAAD) თანამშრომლობით განხორციელდა. საინფორმაციო ბროშურები და დამხმარე სასწავლო საშუალებები მასწავლებლებისთვის გერმანიის საელჩომ მოამზადა.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ანალოგიურ შეხვედრებს ქუთაისის მასწავლებლის სახლსა და ბათუმშიც ჩაატარებს.

იურისტის კონსულტაცია

რა წესით ხდება სამეურვეო საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის რეგისტრაცია?

საინფორმაციო სისტემა სამეურვეო საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის რეგისტრაციას ახორციელებს შემდეგი დოკუმენტაციის საფუძველზე:

ა) სამეურვეო საბჭოს წევრის სარეგისტრაციო მონაცემები;

ბ) უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი.

სამეურვეო საბჭო ვალდებულია, საინფორმაციო სისტემას დაუყოვნებლივ აცნობოს სამეურვეო საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლის დადგომის თაობაზე და წარუდგინოს ზემოაღნიშნული დოკუმენტები.

რა შემთხვევებში შეუწყდება სამეურვეო საბჭოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე?

სამეურვეო საბჭოს წევრს უფლებამოსილება უწყდება, თუ:

ა) პედაგოგიურმა საბჭომ შეუწყვიტა უფლებამოსილება, როგორც საკუთარ წარმომადგენელს საბჭოში;

ბ) პედაგოგიური საბჭოს წარმომადგენელს შეუწყდა სკოლასთან შრომითი ურთიერთობა;

გ) მოსწავლე, რომლის წარმომადგენლადაც ის ითვლება, გაირიცხა/ამოირიცხა სკოლიდან ან გადავიდა ზოგადი განათლების შემდგომ საფეხურზე;

დ) სკოლის შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მშობლების 1/3 მოითხოვს, პრინციპით: „ერთი მოსწავლე ერთი ხმა“;

ე) სამეურვეო საბჭოს წევრი გარდაიცვალა;

ვ) სამეურვეო საბჭოს წევრმა უფლებამოსილება მოიხსნა პირადი განცხადების საფუძველზე;

ზ) სამეურვეო საბჭოს წევრის მიმართ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;

თ) სამეურვეო საბჭოს წევრი სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ, უგზოუკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად;

ი) სამეურვეო საბჭოს წევრ მოსწავლის მშობელსა და საჯარო სკოლას შორის წარმოიშვა შრომითი ურთიერთობა;

კ) სამეურვეო საბჭოს წევრი გახდა საჯარო სკოლის დირექციის წევრი.

რა წესით განისაზღვრება სამეურვეო საბჭოს საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა?

სკოლაში, რომელშიც სწავლობს 1000-მდე მოსწავლე, საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა შეადგენს 5-ს (ხუთს), შემდეგი თანაფარდობით:

ა) საშუალო საფეხურის 1 მოსწავლე;

ბ) 1 მასწავლებელი;

გ) 1 მშობელი;

დ) 2 გარეშე პირი.

სკოლაში, რომელშიც სწავლობს 1000-ზე მეტი მოსწავლე, საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა შეადგენს 8-ს (რვას), შემდეგი თანაფარდობით:

ა) საშუალო საფეხურის 1 მოსწავლე;

ბ) 2 მასწავლებელი;

გ) 2 მშობელი;

დ) 3 გარეშე პირი.

თუ სკოლას არ აქვს საშუალო საფეხური, საარჩევნო კომისიაში, მოსწავლის ნაცვლად, საარჩევნო კომისიის წევრად შეყვანილ უნდა იქნეს გარეშე პირი.

იმ შემთხვევაში, თუ სკოლის საკმარისი რაოდენობის მასწავლებელი, მშობელი ან საშუალო საფეხურის მოსწავლე არ გამოთქვამს საარჩევნო კომისიის წევრობის სურვილს, მათ ნაცვლად, საარჩევნო კომისიის წევრი უნდა იყოს გარეშე პირი.

თამარ ავალიანი
საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის იურისტი

წიგნის პრეზენტაცია

უვადო მივლინება დამთავრდა?!

რაულ ჩილაჩავა – უკრაინაში მოღვაწე ქართველი მწერალი, პოეტი, პუბლიცისტი, დიპლომატი. 5 ოქტომბერს შესრულდა 45 წელი, რაც ბატონი რაული უკრაინაშია – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამეკურსელი სტუდენტი სტაჟიორად მიავლინეს კიევის უნივერსიტეტში უკრაინული ენისა და ლიტერატურის შესასწავლად და, როგორც ბატონი რაული ხშირად ხუმრობს-ხოლმე, მერე დაავიწყდათ მისი უკან გამოწვევა და ასე შერჩა იგი უკრაინას, მისი ლიტერატურის, მისი დიპლომატიის, მისი სულიერების განუყრელ ნაწილად.

უკრაინაში ცხოვრებისა და მოღვაწეობის ე.წ. „სტაჟით“ ბატონმა რაულმა გაუსწრო თავის წინამორბედ დიდ წინაპარს – დავით გურამიშვილს, რომელსაც არა ერთი გამოკვლევა თუ ლექსი მიუძღვნა და უფრო ღრმად ჩაახედა უკრაინელები უკვდავი „დავითიანის“ სულიერ თუ ლიტერატურულ შრეებში.

და არა მხოლოდ დავით გურამიშვილს. რაულ ჩილაჩავამ ამ ხნის განმავლობაში თარგმნა და გამოსცა ქართველ კლასიკოსთა და თანამედროვე პოეტთა ლექსები უკრაინულად. თარგმნა და გამოსცა უკრაინელი პოეტების ლექსები ქართულად. დაწერა უამრავი მონოგრაფია, გამოკვლევა, მოგონებები, ლექსები... უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე რაულ ჩილაჩავა უკრაინის ელჩად მუშაობდა ლატვიაში. შეისწავლა ლატვიური ენაც და ლატვიელი კლასიკოსი პოეტები თარგმნა ქართულად და უკრაინულად. ასე რომ, სამი ქვეყნის და სამი ერთნაირი ბედის მქონე ერის დაახლოებაში ბატონ რაულს ფასდაუდებელი წვლილი აქვს შეტანილი. ამიტომაც, უკრაინაშიც და ლატვიაშიც მიაჩნიათ იგი ძალიან ახლობელ ადამიანად. ბუნებრივია, რომ მას უამრავი მეგობარი ჰყავს უკრაინისა და ლატვიის როგორც ლიტერატურულ, ისე დიპლომატიურ წრეებში.

ასეთი ხელხვავიანი წარუდგება ხოლმე რაულ ჩილაჩავა თავის ქართველ სამეგობროს ხანგამოშვებით. ახლაც, 12 ოქტომბერს, ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა მისი მეასე წიგნის პრეზენტაცია, რომელსაც მწერალი თავისი ცხოვრების „მთავარ წიგნს“ უწოდებს. იგი საკმაოდ სქელტანიანია და თავმოყრილია თითქმის ყველაფერი, რაც ამ ხნის მანძილზე შეუქმნია ავტორს. ჩემი ცხოვრებისა და შემოქმედების მომავალ მკვლევარს, თუკი ასეთი გამოჩნდება, ამ წიგნით საქმე გავუადვილეო, – განაცხადა ბატონმა რაულმა.

შეხვედრაზე მოვიდნენ ქართველი მწერლები, პოეტები, გამომცემლობათა ხელმძღვანელები, რაულ ჩილაჩავას მეგობრები, პედაგოგები და უცნობებიც კი.

ბატონი რაული შეკრებილთ წარუდგინა ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა გიორგი კეკელიძემ. ბ-ნ რაულს თავიანთ გამოსვლებში შემოქმედებითი თუ დიპლომატიური წარმატებები უსურვეს: გიორგი გაჩეჩილაძემ, ჯანსუღ ჩარკვიანმა, ტარიელ ჭანტურიამ, გენო კალანდიამ, პაატა ნაცვლიშვილმა, მაყვალა გონაშვილმა, პროფესორმა ნოდარ ტაბიძემ, პოეტმა ერეკლე საღლიანმა და სხვებმა. გამომცემელმა კახმეგ კუდავამ რაულ ჩილაჩავას მიართვა სულ ახალი მორიგი წიგნი, რომელიც ჯერ ტირაჟირებული არ არის, მაგრამ ავტორს სასინჯი ეგზემპლარი გადაეცა. გამომსვლელთა სიტყვებში დომინირებდა აზრი, რომ ისეთი ნაყოფიერი და ხელხვავიანი შემოქმედი, ისეთი ნიჭიერი და რაფინირებული დიპლომატი, როგორიც ბატონი რაულ ჩილაჩავაა, ახლა მის სამშობლოსაც სჭირდება და დროა (უკვე დაგვიანებულიცაა!), მისი „უვადო მივლინება“ დასრულდეს და დაბრუნდეს სამშობლოში.

შეხვედრის მონაწილეებს რაულ ჩილაჩავამ თავისი წიგნები საჩუქრად დაურიგა.

ვფიქრობ, დადგა დრო, ქართველმა მკითხველმა საფუძვლიანად გაიცნოს რაულ ჩილაჩავას შემოქმედება და კიდევ ერთხელ იამაყოს, რომ ასეთ მოღვაწეებს, ღვთის მადლით, კიდევ ჰბადებს ქართული მიწა!

ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამართული შეხვედრის მეორე დღეს ის ისევ კიევში გაფრინდა, მეგობრებს კი ასეთი შეტყობინება დაგვიტოვა ფეისბუქზე: *„კიევის უნივერსიტეტში აღინიშნება „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ბეჭდური გამოცემის 300 წლისთავი, სადაც მთავარი მომხსენებელი ვარ, თორემ კიდევ დიდი სიამოვნებით დავრჩებოდიო შემოდგომის თბილისში.“*

განა პარადოქსი არ არის, რომ კიევში ახსოვთ და აფასებენ „ვეფხისტყაოსანს“, ხოლო მის სამშობლოში?!.

თამარ თათარაშვილი

მეთოდიკა

ფიზიკის პედაგოგთა დასახმარებლად

ამოცანა 79

დენის წყაროსთან ერთერთი ვოლტმეტრის მიერთებისას მისი ჩვენება 15 ვ აღმოჩნდა. როდესაც ამ ვოლტმეტრთან მიმდევრობით შეაერთეს მეორე ვოლტმეტრი და შემდეგ მიუერთეს დენის წყაროს, პირველის ჩვენება 12 ვ აღმოჩნდა, მეორის - 4 ვ. განვსაზღვროთ დენის წყაროს ემძ.

ამოხსნა:

დენის წყაროსთან პირველი ვოლტმეტრის მიერთებისას სრული წრედისთვის ომის კანონის თანახმად შეგვიძლია დავწეროთ: $\mathcal{E}=U_1+I_1\cdot r$ (1), სადაც $\mathcal{E}$ - დენის წყაროს ემძ-ა, U_1 - ძაბვის ვარდნა გარე წრედში, ანუ პირველი ვოლმტმეტრის ჩვენება, I_1 - დენის ძალა სრულ წრედში მხოლოდ პირველი ვოლტმეტრის ჩართვისას, r - დენის წყაროს შიდა წინაღობა. დენის წყაროსთან ორივე ვოლტმეტრის მიერთებისას გვექნება: $\mathcal{E}=U_1'+U_2+I_2\cdot r$ (2). აქ U_1' პირველი ვოლტმეტრის ჩვენებაა ამ შემთხვევაში, U_2 - მეორე ვოლტმეტრის ჩვენება, I_2 - დენის ძალა. წრედის უბანზე ომის კანონის გამოყენებით შეგვიძლია გამოვსახოთ დენის ძალები ორივე შემთხვევაში: $I_1=U_1/R_1$, $I_2=U_1'/R_1$, სადაც R_1 პირველი ვოლტმეტრის წინაღობაა. ამ გამოსახულებების (1) და (2) ფორმულებში ჩასმით მივიღებთ:

$$\mathcal{E}=U_1'+\frac{U_1}{R_2}r \ (3), \quad \mathcal{E}=U_1'+U_2+\frac{U_1'}{R_2}r \ (4)$$

აღვნიშნოთ x -ით შეფარდება r/R_1, მაშინ (3) და (4) ფორმულები ასეთ სახეს მიიღებს: $\mathcal{E}=U_1+U_1\cdot x$ (5), $\mathcal{E}=U_1'+U_2+U_1'\cdot x$ (6). თუ (5)-დან გამოვსახავთ x -ს და ჩავსვამთ (6) -ში, მივიღებთ განტოლებას $\mathcal{E}$-ისთვის:

$$\mathcal{E}=U_1'+U_2+\frac{\varepsilon-U_1}{U_1}U_1'$$

საიდანაც მივიღებთ დენის წყაროს ელექტრომამოძრავებელი ძალის გამოსათვლელ ფორმულას და შესაბამისად მის სიდიდეს:

$$\mathcal{E}=\frac{U_1U_2}{U_1-U_1'}=20 \text{ ვ.}$$

მიღებული შედეგის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ვოლტმეტრების წინაღობები დენის წყაროს შიდა წინაღობების თანაზომადია, რადგან როგორც ერთი, ასევე ორივეს დენის წყაროსთან მიერთებისას მათი ჩვენებები (U_1' და $U_1'+U_2$) რამდენიმე ერთეული ვოლტით ნაკლებია $\mathcal{E}$ -ზე. მართლაც, თუ (5) ფორმულიდან გამოვთვლით $x=r/R_1$ -ს, მივიღებთ: $x=1/3$, რაც იმას ნიშნავს, ვოლტმეტრის წინაღობა მხოლოდ სამჯერაა მეტი წყაროს შიდა წინაღობაზე. ასეთი ვოლტმეტრის გამოყენება კი გაზომვისას დიდ ცდომილებას გვაძლევს.

ამოცანა 80

ორი დენის წყარო შეერთებულია ისე, როგორც სურათზეა ნაჩვენები (იხ. სურ. 1). ვიპოვოთ პოტენციალთა სხვაობა a და b წერტილებს შორის, თუ დენის წყაროს ემძ $\mathcal{E}_1=57$ ვ, $\mathcal{E}_2=32$ ვ და მათი შიდა წინაღობების შეფარდება $r_2/r_1=1,5$.



სურ. 1



სურ. 2

ამოხსნა:

ამ ამოცანის ამოხსნისას მოხერხებულია სასრული შიდა წინაღობის დენის წყარო წარმოვადგინოთ როგორც იდეალური (ნულოვანი შიდა წინაღობის) დენის წყაროებისა და მათთან მიმდევრობით შეერთებული რეალური დენის წყაროს შიდა წინაღობის მქონე რეზისტორების (r_1 და r_2) სახით (იხ. სურ. 2). რამდენიმე დენის წყაროს შემცველ წრედებში რთულია დენის მიმართულების გამოცნობა, ამიტომ შეიძლება ავირჩიოთ ნებისმიერი მიმართულება, მაგალითად, საათის ისრის მოძრაობის მიმართულება. ჩვენს შემთხვევაში წრედი შედგება ერთი კონტურისგან, ამიტომ წრედის შემადგენელ ყველა ელემენტში დენის ძალა (I) ერთი და იგივე იქნება. ვთქვათ a წერტილის პოტენციალია φ_a, b წერტილის φ_b, მაშინ ამ წერტილებს შორის საძიებელი პოტენციალთა სხვაობა იქნება: $U=\varphi_a-\varphi_b$. როგორც სურათიდან ჩანს, პოტენციალის φ_a-დან φ_b-მდე შემცირება ორი მიმართულებით ხდება: წრედის კონტურის გასწვრივ $\mathcal{E}_2$ ემძ-ს დენის წყაროსა და r_2 რეზისტორის გავლით და მეორე მიმართულებით $\mathcal{E}_1$-სა და r_1-ის გავლით. პირველი მიმართულება ემთხვევა დენის ჩვენს მიერ არჩეულ მიმართულებას, მეორე - ამ მიმართულების საწინააღმდეგოა. ყოველივე ამის გათვალისწინებით შეიძლება დავწეროთ: $\varphi_a-\mathcal{E}_2-I\cdot r_2=\varphi_b$. აქ $\mathcal{E}_1$-ის უარყოფითი ნიშანი მიგვითითებს იმაზე, რომ კონტურის შემოვლის მიმართულებით წყარო ამცირებს პოტენციალს. დავწეროთ ანალოგიური თანაფარდობა მეორე მიმართულებისთვის და გავითვალისწინოთ, რომ ამ შემთხვევაში დენის მიმართულება შემოვლის მიმართულების საპირისპიროა: $\varphi_a-\mathcal{E}_1+I\cdot r_1=\varphi_b$ ამ ფორმულებიდან $U=\varphi_a-\varphi_b=\mathcal{E}_1-I\cdot r_1=\mathcal{E}_1+I\cdot r_2$ (1), საიდანაც

$$I=\frac{\varepsilon_1-\varepsilon_2}{r_1+r_2}$$

ჩავსვათ დენის ძალის ეს მნიშვნელობა (1) - ში და საბოლოოდ მივიღებთ:

$$U=\varepsilon_1-\frac{\varepsilon_1-\varepsilon_2}{r_1+r_2}r_1=\frac{\frac{\varepsilon_1r_2}{r_1}+\varepsilon_2}{1+\frac{r_2}{r_1}}=47 \text{ ვ.}$$

აქვე აღვნიშნოთ, რომ რადგან $\mathcal{E}_1>\mathcal{E}_2$ დენის ძალის გამოსაანგარიშებელი ფორმულის მიხედვით დენის ძალის მნიშვნელობა დადებითია, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ დენის მიმართულება კონტურში სწორად შევარჩიეთ.

ამოცანა 81

$\mathcal{E}_1=1,9$ ვ და $\mathcal{E}_2=1,1$ ვ ემძ-ის და $r_1=0,1$ ომი და $r_2=0,8$ ომი შიდა წინაღობის ორი დენის წყარო ერთმანეთთან ჩართულია პარალელურად ერთსახელიანი პოლუსებით. დენის წყაროებს მიუერთეს $R=10$ ომი წინაღობის რეზისტორი. რას უდრის ძაბვა რეზისტორის ბოლოებზე?

ამოხსნა:

გარე წრედის (R რეზისტორის) მიერთებამდე დენის წყაროების შემცველ წრედში დენის მიმართულება ემთხვევა პირველ დენის წყაროში დენის მიმართულებას, რადგან $\mathcal{E}_1>\mathcal{E}_2$. როგორც სქემიდან ჩანს (იხ. სურათი), გარე წრედის (R რეზისტორის) მიერთების შემდეგ პირველ დენის წყაროში დენი ტოლი აღმოჩნდება მეორე წყაროში დენისა და რეზისტორში გამავალი დენის ძალების ჯამის: $I_1=I_2+I_3$ (1). გარდა ამისა, შეგვიძლია დავწეროთ (იხ. ამოცანა 80):



$U=\mathcal{E}_1-I_1\cdot r_1$, $U=\mathcal{E}_2+I_2\cdot r_2$ და $U=I_3\cdot R$, სადაც U გარე წრედში, ანუ დენის წყაროების მომჭერებზე, ძაბვაა. ამ გამოსახულებებიდან I_1, I_2, I_3-ის განსაზღვრისა და მათი (1)-ში ჩასმით მივიღებთ:

$$U=\frac{\varepsilon_1r_2+\varepsilon_2r_1}{r_1r_2+r_1R+r_2R}R\approx 1,7 \text{ ვ.}$$

ამოცანა 82

სურათზე გამოსახულ წრედში R_1, R_2, R_3 რეზისტორების წინაღობებია 2, 4 და 6 ომი. დენის წყაროს ემძ $\mathcal{E}=4,8$ ვ, შიდა წინაღობა - $r=0,4$ ომი. რას აჩვენებს წრედში ჩართული იდეალური ამპერმეტრი?



ამოხსნა:

I ხერხი. ამპერმეტრი აჩვენებს იმ დენის ძალის მნიშვნელობას I_3, რომელიც გადის R_3 რეზისტორში. ვთქვათ I_1 არის დენის ძალა, რომელიც R_3 რეზისტორში. ეს დენი განშტოვდება I_2 და I_3 დენებად. ამიტომ $I_1=I_2+I_3$. R_2 და R_3 რეზისტორებზე ძაბვები ტოლია, რადგან ამპერმეტრის წინაღობა ნულის ტოლია (იდეალური ამპერმეტრი). დავწეროთ ძაბვების ტოლობის პირობა: $I_2\cdot R_2=I_3\cdot R_3$. ამ ორი განტოლებიდან მივიღებთ:

$$I_3=\frac{I_1R_2}{R_2+R_3} \ (1).$$

I_1 დენის ძალას გავიგებთ სრული წრედისთვის ომის კანონის გამოყენებით:

$$I_1=\frac{\varepsilon}{R+r} \ (2), \text{ სადაც R გარე წრედის წინაღობაა: } R=R_1+\frac{R_2R_3}{R_2+R_3}=4,4 \text{ ომი.}$$

ამ მნიშვნელობის (2) -ში ჩასმით მივიღებთ: $I_1=1$ ა. საბოლოოდ კი დენის ძალის ამ სიდიდის (1) ჩასმით მივიღებთ საბოლოო პასუხს: $I_3=0,4$ ა.

II ხერხი. გამოვიყენოთ კირხჰოფის კანონები დენებისა და ორი კონტურისთვის: $I_1=I_2+I_3$, $\mathcal{E}=I_2\cdot R_2+I_1\cdot r+I_1\cdot R_1$, $I_3\cdot R_3-I_2\cdot R_2=0$. ბოლო განტოლებიდან გამოვსახოთ I_2:

$I_2=\frac{I_3R_3}{R_2}$ და ჩავსვათ წინა ორ განტოლებაში:

$$I_1=\frac{I_3R_3}{R_2}+I_3 \ (1), \quad \varepsilon=I_3R_3+I_1r+I_1R_1 \ (2).$$

(1)- დან I_1-ის მნიშვნელობა შევიტანოთ (2)-ში:

$$\varepsilon=I_3R_3+\left(\frac{I_3R_3}{R_2}+I_3\right)(r+R_1)$$

საიდანაც შეგვიძლია გამოვსახოთ საძიებელი I_3 -ის ფორმულა:

$$I_3=\frac{\varepsilon R_2}{R_2R_3+(R_2+R_3)(R_1+r)}=0,4 \text{ ა.}$$

თეიმურაზ გაჩეჩილაძე
აკად. ი. ვეკუას სახ. ფიზიკა-მათემატიკის №42 საჯარო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი, დირექტორის მოადგილე

სამბისტების ასაკობრივი წარმატება

სოფიაში დასრულებულ ჭაბუკ და ახალგაზრდა სამბისტთა მსოფლიოს ჩემპიონატში წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი გუნდები, რომლებმაც ჯამში 13 მედალი მოიპოვეს – 2 ოქრო, 4 ვერცხლი და 7 ბრინჯაო. მონაგარს ასაკობრივად თუ დავახარისხებთ, ოდნავ უფრო წარმატებით ჭაბუკებმა იასპარეზეს, რომლებმაც ერთი ჯილდოთი აჯობეს ახალგაზრდებს. მათ წილად 7 მედალია –1 ოქრო, 2 ვერცხლი და 4 ბრინჯაო. ჭაბუკთა შორის ყველაზე უკეთ **ომარ ნიაზაშვილმა** (70) იჭიდავა, ვინაიდან მთელი ტურნირი დაუმარცხებლად გაიარა, ფინალში ყირგიზ **ჯამალბეკ ასილბეკსაც** აჯობა და ჩემპიონი გახდა. ანალოგიური წარმატების მოპოვება **ილია ოტიაშვილსაც** (87) შეეძლო, მაგრამ ფინალში ყაზახ **ნიკიტა აზაროვთან** დამარცხდა და ვერცხლს დასჯერდა. ჩემპიონობის მოპოვების შანსი **ლევან კირკიტაშვილმაც** (65) დაკარგა, რადგან ფინალი რუს **რამაზან კოძოკოვთან** წააგო. ჭაბუკთაგან ბრინჯაოს პრიზიორები **ირაკლი კუპატაძე** (48), **გიორგი ნათათრალიშვილი** (56), **უშანგი მარგიანი** (75) და **გიორგი ლაზუაშვილი** (+87) გახდნენ.

ახალგაზრდების 6 მედალი ხარისხობრივად ასეა განაწილებული: 1 ოქრო, 2 ვერცხლი და 3 ბრინჯაო. როგორც ვხედავთ, ამათაც 3 ფინალი იჭიდავეს, თუმცა ერთ ოქროს გამორჩნენ, რაც **ამირან იანვარაშვილმა** (82) შეძლო – მან ფინალში რუსი **გიორგი კორელი** დაჯაბნა. ამ ასაკში ფინალში კიდევ ორი ქართველი გავიდა – **ირაკლი ლომიძე** (68) და **უშანგი კოკაური** (100), მაგრამ პირველი რუს **ილია ილიასოვთან**, მეორე კი რუმინელ **დანიელ ნეტიასთან** დამარცხდა. ახალგაზრდებში ბრინჯაოს მედლები **გივი ნადარეიშვილმა** (52), **თეიმურაზ ხაჩიძემ** (90) და **მიხეილ ჩოხელმა** (74) მოიპოვეს. გუნდურ ჩათვლაში ჭაბუკები მეორეზე გავიდნენ, ახალგაზრდები – მესამეზე.

სარაგბო ფესტივალი

საქართველოს რაგბის კავშირი კვლავაც აგრძელებს რაგბის ფესტივალს ქვეყნის მასშტაბით მოზარდთა შორის, რაც ბავშვებში სპორტის ამ რაინდული სახეობის პოპულარიზაციას უწყობს ხელს. ამჯერად მორიგ ღონისძიებას საჩხერემ უმასპინძლა 1998-99 წლებში დაბადებულებში. ფესტივალში ბათუმის, ქობულეთის, ჩოხატაურის, სენაკის, ქუთაისის, წყალტუბოს, ბაღდათის, ჭიათურისა და მასპინძელთა გუნდები გამოდიოდნენ.

მსგავსი შეჯიბრება სატურნირო დანიშნულებას არ ითვალისწინებს, ანუ აქ ქულები არ ითვლება და არც სატურნირო ცხრილი ივსება. მისი დანიშნულება ბავშვებისთვის სათამაშო პრაქტიკის მიცემაა, რაც ხელს უწყობს მათ დაოსტატებას. ამჯერადაც თითოეულმა გუნდმა ორ-ორი თამაში ჩაატარა. თან პარალელურად მოზარდებმა 65 წლის იუბილე მიულოცეს ქართული რაგბის ერთ-ერთ ვეტერანს, თბილისის „ლოკომოტივის“ შემადგენლობაში ყოფილი სსრკ-ს პირველობის ორგზის ვერცხლის მედალოსან **რამაზ ხარშილაძეს**, რომელიც საჩხერელია და ამ ფესტივალის ორგანიზატორიც იყო.

სტუდენტური კლაჭბურთი კუს ტბაზე

რამდენიმე დღის წინ კუს ტბაზე ჩატარდა სტუდენტური ტურნირი პლაჟის ფრენბურთში გოგონებსა და ვაჟებს შორის, რომელშიც 8-8 გუნდი ჩაება. ასპარეზობის ორგანიზატორი საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია იყო, თუმცა ორგანიზებაში დიდი წვლილი საქართველოს ფრენბურთის ფედერაციამაც შეიტანა მსაჯთა დახმარებით, ღონისძიება თბილისის მერიამ დააფინანსა. წინასწარ ვიტყვით, რომ შეჯიბრებაში ყველაზე უკეთ საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტები გამოვიდნენ – მათ გაიმარჯვეს გოგონებში, ვაჟებში კი მეორეზე გავიდნენ.

გოგონების ტურნირში საქართველოს, ილიას, შავი ზღვის, სამედიცინო და აგრარული უნივერსიტეტები, თსუ, სეუ და სტუ ჩაებნენ. ერთკვირიანი წინასწარი შეხვედრების შემდეგ ნახევარფინალში გამოსვლის უფლება თსუ-მ და შავი ზღვის უნივერსიტეტმა, აგრეთვე „სამედიცინომ“ და „საქართველომ“ მოიპოვეს, რომლებიც ასევე დაწყვილდნენ. უფრო დაძაბული შეხვედრა თსუ-სა და „შავი ზღვის“ მონაწილეობით გაიმართა, სადაც სამ სეტში სწორედ ამ უკანასკნელებმა იმარჯვეს. თავიდან თსუ დაწინაურდა, მაგრამ „შავი ზღვის“ სტუდენტებმა მიჯრით ორი პარტია მოიგეს და ჯამში 2:1 იმარჯვეს. მეორე ნახევარფინალში საქართველოს უნივერსიტეტმა სამედიცინოს შედარებით იოლად, 2:0 სძლია.

სამაგიეროდ, საქართველოს უნივერსიტეტის წყვილს – **ანა კოსტავა**, **ანა თვაური** – ფინალში გაუჭირდა შედარებით და მესამე სეტი იქ დასჭირდა **სალომე თითვიძისა** და **ირინე ჭელიძის** დასამარცხებლად - 2:1. მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედლები თსუ-მ მოიპოვა (**მარიამ დანელია**, **თამარ დიდებაშვილი**), რომელმაც სამედიცინოს ასევე 2:1 სძლია.

ვაჟებს შორისაც ზემოჩამოთვლილი უნივერსიტეტების სტუდენტები მონაწილეობდნენ, მხოლოდ აგრარულის ნაცვლად სოხუმელები გამოვიდნენ. ნახევარფინალში საქართველოს უნივერსიტეტმა აქაც 2:0 იმარჯვა, ოღონდ ამჯერად თსუ-სთან და ფინალში გავიდა. ასეთივე წარმატებას მიაღწია სტუ-მაც, რომელმაც საამისოდ სამედიცინოს 2:1 აჯობა. ფინალში სტუ-ს წყვილმა – **გიგა გუგავა**, **გიორგი ყიფშიძე** 2:1 მოუგო **ჯემალ მელიქიძესა** და **ნიკა გოგიჩაიშვილს** საქართველოს უნივერსიტეტიდან, რითაც ოქროს მედლებსა და მთავარ პრიზსაც დაეუფლნენ. მესამე საპრიზო ადგილისთვის შეხვედრაში მომავალმა ექიმებმა – **ფარნა იორდანიშვილმა** და **ირაკლი ნადირაშვილმა** 2:1 მოუგეს თსუ-ს წარმომადგენლებს.

მაჩვენებლების გაუმჯობესებას უნდა ველოდოთ

ბოლო ხანებში ახალგაზრდა ქართველი კალათბურთელები თანდათან გაუშინაურდნენ ევროპაში ერთ-ერთ უძლიერეს ესპანეთის უმაღლეს ლიგას. ამჯერად იქ ბევრი მოთამაშე აღარ დაგვრჩა, მაგრამ ვინც არის, იქაურობა მათთვის დიდი სკოლაა. ასე მაგალითად, 18 წლის **ბექა ბურჯანაძე** სევილიის „კახასოლში“ თანდათან ყალიბდება კლუბის ერთ-ერთ საკვანძო ფიგურად. მართალია, თავად კლუბი წლეულს სუსტად გამოდის და სატურნირო ცხრილში ბოლოსწინა ადგილზეა, მაგრამ ჩვენებურს მთავარი მწვრთნელი სულ უფრო მეტად ენდობა. ასე მაგალითად, ბოლო წაგებულ შეხვედრაში ბურჯანაძემ უკვე 15 წუთი დაჰყო მოედანზე, 2 ორქულიანი და ამდენი სამქულიანი სროლა შეასრულა. ამათგან თითო გამოიყენა, რასაც 2 საჯარიმო, ანუ ჯამში 7 ქულა და 4 მოხსნა დაურთო. ეს მაჩვენებლები ბურჯანაძისთვის სარეკორდოა და უახლოეს მომავალში მათ გაუმჯობესებას უნდა ველოდოთ.

მოსწავლე მოკრივეები ანაპაში

რუსულ ანაპაში დასრულდა ევროპის ჩემპიონატი 1998-99 წლებში დაბადებულ მოკრივე მოსწავლეთა შორის, რომელშიც ჩვენებმა 4 მედალი მოიპოვეს – 3 ვერცხლი და 1 ბრინჯაო. ევროპული პირველობის ფინალში ფოთელი **გიორგი მანჯავიძე** (43), თბილისელი **დავით პეტროსიანი** (44) და მარნეულელი **ჟორა სერობიანი** (62) გავიდნენ, მაგრამ სამივე დამარცხდა და ვერცხლს დასჯერდა. კონტინენტის მესამე პრიზიორი ფოთელი **გიორგი ჩარგაზია** (41) გახდა. გუნდურ ჩათვლაში ჩვენებმა 22 ქვეყანას შორის VII ადგილი დაიკავეს.

რუბრიკას უძღვება
ირაკლი თავაძე

სიახლე!



სამი ტომის ფასი 21 ლარი

თემატური პლაკატები დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. ქართული ანბანი
2. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
3. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
4. ფერები
5. ფორმები
6. გარეული ცხოველები
7. გარეული ფრინველები
8. პროფესიები
9. რიცხვები
10. ხილ-ბოსტნეული
11. შინაური ცხოველები
12. ტანსაცმელი
13. ჰიგიენის ნივთები
14. საოჯახო ნივთები
15. ტრანსპორტი
16. წყლის ბინადრები
17. ინგლისური ანბანი
18. რუსული ანბანი
19. ჩემი საქართველო

ერთი ცალის ფასი 2.5 ლარი

თემატური პლაკატები მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქართული ხალხური საკრავები
6. ქვეწარმავლები საქართველოში
7. საქართველოს მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
11. ძველი რომი
12. მსოფლიოს დროშები
13. ზღვის დინებები
14. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
15. სამყაროს წარმოშობა
16. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
17. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ერთი ცალის ფასი 3 ლარი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. მირზა გელოვანი
6. აკაკი ბაქრაძე
7. ვასილ ბარნოვი
8. პაოლო იაშვილი
9. სულხან-საბა ორბელიანი
10. იოსებ გრიშაშვილი
11. პოლიკარპე კაკაბაძე
12. გურამ რჩეულიშვილი
13. იაკობ ხუცესი
14. იოანე საბანისძე
15. დავით გურამიშვილი
16. ბესიკი
17. რევაზ ინანიშვილი
18. ალექსანდრე ჭავჭავაძე
19. აკაკი წერეთელი
20. რუსთაველი
21. ვაჟა-ფშაველა
22. თეიმურაზ I
23. ვახტანგ VI
24. გიორგი მერჩულე
25. გრიგოლ ორბელიანი
26. დავით ალმაშენებელი
27. გურამ ასათიანი

ერთი ცალის ფასი 4 ლარი

რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

1. ცისფერი ბალერინები - დეგა
2. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
3. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
4. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
5. ავტოპორტრეტი - რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინი
6. მენინები - ველასკესი
7. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
8. მხატვრის ბალი - კლოდ მონე
9. უძლები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
10. საძანელა - რენუარი
11. საკვირაო გასეირნება, გრან-ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

ერთი ცალის ფასი 6.5 ლარი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 577132283. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

მიმდინარეობს ხელმოწერა. შემოგვიერთდით!

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

თითო ტომის ფასი – 12 ლარი

- უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი** ახალი
- ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ** ახალი
- ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი** ახალი
- გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
- ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
- ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
- ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**
- ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
- ფიოდორ დოსტოევსკი - **მკვდარი სახლის ჩანაწერები**
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
- სტენდალი - **წითელი და შავი**
- ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
- ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
- ერიხ მარია რემარკი - **სამი მეგობარი**
- შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
- ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
- შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
- მაინ რიდი - **კვარტერონი**

გამომცემლობა „დიოგენესა“ და გაზეთ „ახალი განათლების“ სპეციალური პროექტი



კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
თამაზ ვასაძე
~~11 ლარი~~
9 ლარი

„ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი“
თამარ ბეროზაშვილი
10 ლარი

საყმაწვილო ენციკლოპედია „სპორტი“
~~10 ლარი~~
4.90 ლარი

საყმაწვილო ენციკლოპედია „მუსიკა“
~~17 ლარი~~
14.90 ლარი

მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია
~~45~~ 35 ლარი



საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია
~~30~~ 26 ლარი



ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია
~~40~~ 30 ლარი



ილია ჭავჭავაძე, ორტომეული
16 ლარი



საქართველოს ისტორიული ატლასი
5.70 ლარი



„რა არის რა“
50-ტომეული
ერთი ტომის ფასი
ნაცვლად 11 ლარისა
9 ლარი

- მსოფლიოს 7 საოცრება
- ავტომობილი
- ამინდი
- დიდი აღმოჩენები
- ხალხთა დიდი გადასახლება
- გამოგონებები
- განძის ძიება
- გლადიატორები
- ჩვენი დედამიწა
- დრო და კალენდარი
- ძველი ეგვიპტე
- ევროპა
- ვიკინგები
- კოშკები
- კრიმინალისტიკა
- მათემატიკა
- მეცნიერებები
- მსოფლიოს რელიგიები
- ძველი რომი
- ძველი საბერძნეთი
- სამურაი
- უდაბნო
- უძველესი ადამიანები
- ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ფიზიკა
- ჩაძირული ქალაქები

ქართველი მწერლები

- ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული), I-V ტომი, – 11 ლარი
- ალექსანდრე ყაზბეგი (2-ტომეული), I-II ტომი, – 11 ლარი
- მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული), I-VII ტომი – 11 ლარი
- ლევან გოთუა (7-ტომეული), I-II ტომი – 16 ლარი
- ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული), I-II ტომი – 15 ლარი
- კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, II, III, VI, VII,VIII ტომი – 16 ლარი, IV-V ტომი –18 ლარი
- რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული), I-VI ტომი – 12 ლარი
- ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული), I-VI ტომი –12 ლარი
- გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული), I-IV ტომი – 12 ლარი
- ოტია იოსელიანი (10-ტომეული), I-X ტომი – 12 ლარი
- თამაზ ჭილაძე (6-ტომეული), I-VI ტომი – 10 ლარი
- გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული), I-IV ტომი – 13 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735
ა/აGE93LB0113314052305000, ს/ს„ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 577 132283.
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba
რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

CMYK